

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები

დამკვეთი: *დაცული ტერიტორიების სააგენტო*

ფინანსური მხარდაჭერა: *შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)*

შემსრულებელი: *შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“*

თბილისი, 2023

სარჩევი

1 წინასაპროექტო კვლევა....4

1.1 შესავალი....4
1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება....4
1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი....4

2 გენერალური გეგმის შემუშავება....5

2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი....5
2.2 განმარტებითი ბარათი....5
2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი....5
2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო....6
2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი....7
2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი....8
2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები....8
2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა....9
2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი....9
2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი....10
2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი....10

3 დაცულ ტერიტორიებზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი....11

3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი....11
3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი....11
3.1.2 არსებული ზონირება....12
3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება....14
3.1.4 ლანდშაფტები....14
3.1.5 ბიომრავალეფეროვნება....15
3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი....15
3.1.5.2 ფაუნა....16
3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის უბნები....17
3.1.6 კლიმატური პირობები....17
3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები....18
3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა....18
3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა....18
3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა....19
3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა....19
3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი....22
3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები....22
3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა....23
3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები....23
3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები....24
3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები....25
3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები....27
3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები....28
3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები....29
3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები....29

4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები....32

4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია 32
4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები 32
4.2.1 ალტერნატივა 1 – „როშკის ბუნების ძეგლის ლოკაცია“ 34
4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა 34
4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 37
4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 37
4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 40
4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 43
4.2.2 ალტერნატივა 2 - „ჭინჭარაულების ციხის მიმდებარე ტერიტორია“ 43
4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა 43
4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 45
4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 45
4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 47
4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 47
4.2.3 ალტერნატივა 3 - „სოფ. ჭიჩოს მიმდებარე ტერიტორია“ 48
4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა 48
4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 49
4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 50
4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 52
4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 52
4.2.4 ალტერნატივა 4 - „შატილის ლოკაცია“ 53
4.2.4.1 ადგილმდებარეობის აღწერა 53
4.2.4.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი 54
4.2.4.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება 54
4.2.4.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები 57
4.2.4.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება 57
5 დასკვნები და რეკომენდაციები 58
6 გამოყენებული ლიტერატურა 59

1 წინასაპროექტო კვლევა

1.1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების გენერალური გეგმის პროექტს. გენერალური გეგმის პროექტი შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ 2022 წელს დაწყებული საგრანტო პროგრამის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით.

გენერალური გეგმის პროექტი განსაზღვრავს მიზნებს, რომლებსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და სხვა სახელმწიფო უწყებები ცდილობს მიაღწიოს ეკოტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. წინამდებარე დოკუმენტი ასევე ასახავს შესაძლო მიდგომებს ამ მიზნების მისაღწევად. საერთაშორისოდ დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს უახლოეს 10 წელს. დოკუმენტი განსაზღვრავს გრძელვადიან ზოგად ხედვას, ხოლო მასში მოცემული მიდგომების და რეკომენდაციების იმპლემენტაცია რეკომენდირებულია ეფუძნებოდეს დეტალურ მართვის გეგმებს, რომელიც უფრო მოკლევადიან პერიოდზე იქნება გათვლილი.

1.2 ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერება

ფიზიკური გარემოს საველე კვლევა-დათვალიერების დაგეგმარების პირველ ეტაპზე განისაზღვრა სავალე სამუშაოებში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი. დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა საველე სამუშაოების ძირითადი მიზნები, დაიგეგმა ველზე მუშაობის გეგმა-გრაფიკი და გადაადგილების მარშრუტები და ა.შ. საველე კვლევა-დათვალიერების პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა ლანდშაფტის არქიტექტორის, სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტის, GIS-ის სპეციალისტისა და ეკოლოგისგან. პერსპექტიული ლოკაციების კვლევამ მოიცვა ინსტრუმენტალური გაზომვები და ფოტოგრაფირება, არსებული მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის მიმდებარედ მაცხოვრებლების, ასევე რეინჯერების ინტერვიურების გზით). არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მოხდა პერსპექტიული ლოკაციების ექსპერტული შეფასება, შემდგომში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობის მხრივ.

დეტალური მეთოდოლოგია და შეფასების ანალიზი აღწერილია დოკუმენტის შემდგომ პარაგრაფებში.

1.3 დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის მოძიება/ გაცნობა და ანალიზი

დოკუმენტის მომზადების პირველი ეტაპი ითვალისწინებდა არსებული ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს. პირველ ეტაპზე მოხდა არსებული დოკუმენტაციის შეგროვება დაცული ტერიტორიების სააგენტოდან და სხვა ორგანიზაციებიდან, რომლებიც მუშაობენ ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების განვითარების მიმართულებით. წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში გაანალიზებული იქნა საჯარო ინფორმაცია (მათ შორის ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სხვა).

გარდა ამისა, მოხდა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან ტურისტული ნაკადების შესახებ უახლესი სტატისტიკური მონაცემების გამოთხოვნა, ასევე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები სხვა დაინტერესებულ პირებთან.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა ექსპერტული ჯგუფის მიერ და აისახა დოკუმენტში.

2 გენერალური გეგმის შემუშავება

2.1 გენერალური გეგმის შემუშავება და აღწერილობითი ნაწილი

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავება განხორციელდა ტექნიკური დავალების შესაბამისად, წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე და მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. გენერალური გეგმის პროექტი შედგება აღწერილობითი (ტექსტური) და გრაფიკული ნაწილებისგან.

გენერალური გეგმის აღწერილობითი ნაწილი მოიცავს სამიზნე დაცულ ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების შედეგებს და ლიტერატორული/საფონდო მასალებიდან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს. ასევე წარმოდგენილია საველე კვლევისას შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების აღწერა და მათი განვითარების კონცეფციის მიმოხილვა. გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი მომზადებულია წინასაპროექტო კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე და მოიცავს აღწერილობითი ნაწილის დარუკებას.

2.2 განმარტებითი ბარათი

2.2.1 გენერალური გეგმის შემუშავების საჭიროების ანალიზი

ეკოტურიზმის განვითარებისათვის გენერალური გეგმების პროექტების მომზადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, იმ დაცული ტერიტორიებისათვის, სადაც დაშვებულია რეკრეაციული აქტივობები და ვიზიტორთა მიერ აქტიურად ხდება აღნიშნული ტერიტორიებით სარგებლობა. ასევე მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე იმ ტერიტორიებისათვისაც, სადაც ჯერ-ჯერობით არ არის განვითარებული ეკოტურიზმი, თუმცა კანონის შესაბამისად წარმოადგენს დაშვებულ აქტივობას.

ეკოტურიზმის განვითარებამ, მათ შორის ვიზიტორთა და ტრადიციული გამოყენების ზონებში ახალი ეკოტურისტული და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობამ შესაძლოა გაზარდოს დაცულ ტერიტორიების ქაოტური განვითარების რისკები, ამით დაიკარგოს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და საინვესტიციო ღირებულება. აუცილებელი პირობაა, რომ დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება და მართვა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისიწინებით, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს წარმოადგენს, როგორც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით, ასევე ტურისტული მიმართულებით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ვიზიტორებში. შესაბამისად, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მათ შორის განხორციელდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები დაცული ტერიტორიის ეფექტურად მართვის მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, გამოწვევად რჩება რიგი საკითხები - სრულად არ არის გამოყენებული დაცული ტერიტორიების ისტორიულ-კულტურული და ლანდშაფტური პოტენციალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მდგრადი, გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც მიმართული იქნება დაცული ტერიტორიის პოპულარიზაციისა და დამატებითი ვიზიტორების მოზიდვისაკენ. ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზით შესაძლებელი იქნება დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თემების, მეწარმეების, ბიზნესებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ეკოტურიზმიდან მიღებული სარგებლის გაზრდა. ამასთანავე ეს ქმედებები უნდა განხორციელდეს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული პრინციპების მაქსიმალური გათვალისწინებით. ეკოტურიზმის განვითარების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია არსებული ეკოსისტემური სერვისების პოტენციალის ეფექტური გამოყენება, მათი შენარჩუნებისა და გაძლიერების გზით.

2.2.2 მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

გენერალური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები მოცემულია ცხრილში 2.2.2.1.

ცხრილი 2.2.2.1. დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული სამართლებრივი დოკუმენტები

მიღების/ დამტკიცების წელი	კანონის/ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
1996	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ.“	360.050.000.05.001.000.127
2007	საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ.“	360.050.000.05.001.003.060
2014	საქართველოს კანონი „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ.“	360050000.05.001.017387
1996	საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ.“	360.000.000.05.001.000.184
2018	საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.“	330090000.05.001.019104
2007	საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“	450.030.000.05.001.002.815
2014	საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი.“	360160000.05.001.017608
2017	საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი.“	360160000.05.001.018492
2014	საქართველოს მთავრობის №17 დადგენილება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი“.	300160070.10.003.017608
2016	საქართველოს მთავრობის №475 დადგენილება. ტექნიკური რეგლამენტი - „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე.“	300160070.10.003.019541
2019	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-4 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.	360050000.22.023.016564

დოკუმენტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული საერთაშორისო კონვენციები, რომელზეც მიერთებულია საქართველო:

- ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია (ბერნის კონვენცია, 1979 წ.);
- კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რიო დე ჟანეირო, 1992 წ;
- კონვენცია ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;
- კონვენცია ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

2.2.3 გენერალური გეგმის შემუშავების პროცესი

დოკუმენტის შემუშავების პროცესი მოიცავდა ორ ძირითად ეტაპს: საოფისე სამუშაოებს, რაც ითვალისწინებდა არსებული მასალების მოძიებასა და დამუშავებას და სამიზნე ტერიტორიებზე საველე კვლევებს, მათ შორის დაინტერესებულ მხარეებთან (დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა, მცირე მეწარმეები და სხვა) შეხვედრებსა და დისკუსიებს.

მოძიებული იქნა ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შემუშავებული დოკუმენტაცია, გაანალიზებული იქნა მათში წარმოდგენილი ძირითადი ასპექტები და პრიორიტეტები, რაც შემდგომში, დაცული ტერიტორიების საზღვრებში სამიზნე ტერიტორიების შერჩევის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

გარდა ამისა, მოძიებული და გაანალიზებული იქნა შესაბამისი საფონდო მასალა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც შეეხება დაცული ტერიტორიის საზღვრებში ბუნებრივი კომპონენტების (ლანდშაფტური მახასიათებლები და ბიომრავალფეროვნება, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები და ა.შ.) არსებულ მდგომარეობას. ასევე მოხდა არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სხვა ორგანიზაციების საჯარო წყაროებზე დაყრდნობით.

გარკვეული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი გახდა ადგილზე მომუშავე პერსონალისგან (რეინჯერები და სხვა). გათვალისწინებული იქნა მათი წარსული გამოცდილება და მოსაზრებები პოტენციურ სამიზნე ტერიტორიებთან, ადგილობრივი მოსახლების მთავარ გამოწვევებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საოფისე სამუშაოების საფუძველზე დაიგეგმება საველე კვლევების მეთოდოლოგია. წინასწარ მოინიშნა შესაბამისი ადგილები და მარშრუტები. ამ მხრივ აქცენტი გაკეთდა დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრულ ტერიტორიებზე. მომზადდა შესაბამისი (საველე კვლევის პროცესში გამოსაყენებელი) კარტოგრაფიული მასალები (ელექტრონული და ბეჭდური სახით). საველე სამუშაოები შესრულდა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტის მიერ.

სამიზნე ტერიტორიების კვლევა-დათვალიერების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგი კომპონენტების შესწავლაზე:

- ადგილმდებარეობა, სამიზნე ტერიტორიების ხელსაყრელი განლაგება არსებული და პოტენციური ტურისტული მარშრუტების მიმართ;
- განაშენიანება, არსებული შენობა-ნაგებობები და საინჟინრო კომუნიკაციები, მათი ფუნქციური დატვირთვა. არსებული შენობა-ნაგებობების დიზაინი და ა.შ.;
- რელიეფური და გეოლოგიური პირობები, მათ შორის მიმდინარე გეოდინამიკური და ჰიდროლოგიური პროცესები და მათთან დაკავშირებული საფრთხეები;
- ბიომრავალფეროვნების (ლანდშაფტები, მცენარეული საფარი, ცხოველები და მათი პოტენციური საბინადრო ადგილები, ნიადაგი) არსებული მდგომარეობა და

ხარისხობრივი შეფასება. არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ზემოქმედება, მათი მგრძნობელობა და ა.შ.;
- ისტორიულ-კულტური მემკვიდრეობის ძეგლები;
- სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, მათ შორის: მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა; მიმდებარედ არსებული დასახლებული ზონის მოსახლეობის კავშირი და დამოკიდებულება სამიზნე ტერიტორიებზე და ა.შ.

2.2.4 გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების არეალი

ტექნიკური დავალებიდან გამომდინარე გენერალური გეგმის მოქმედების არეალი მოიცავს მხოლოდ დაცული ტერიტორიების საზღვრებს - ვიზიტორთა, ადმინისტრაციული და ტრადიციული გამოყენების ზონებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მოქმედების არეალი ფარავს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების პრაქტიკულად მთლიან არეალს (გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა), თუმცა ორენტირებულია კველევის შედეგად შერჩეულ პერსპექტიულ ეკოტურისტულ ლოკაციებზე, ეკოტურისტულ მარშრუტებზე და მათ ფარგლებში არსებულ ან დაგეგმილ სხვადასხვა ეკოტურისტულ სერისებზე.

2.2.5 გენერალური გეგმის მიზნები და ამოცანები

გენერალური გეგმის მიზნებს წარმოადგენს:
- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია;
- ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების დამატებითი ნაკადების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი თემების, მცირე მეწარმეების და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობის ზრდის ხელშეწყობა, რათა მათ ისარგებლონ ეკოტურიზმის პოტენციალით, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და გაზარდონ თავიანთი შემოსავლები;
- მსხვილი და საშუალო ბიზნესის დაინტერესება ინვესტირებისთვის;
- ბუნებრივი გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის მაქსიმალური შენარჩუნება და ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია;
- დაცული ტერიტორიების მართვის მექანიზმების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ქვეყნის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ძირითადი ამოცანებია:
- ეკოტურიზმის განვითარების პროცესში ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნების გათვალისწინება;
- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და დოკუმენტის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ეკოტურისტული სერვისების იდენტიფიცირება (საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზება და პერსპექტივების დასახვა);
- დეტალური გენერალური გეგმების შემუშავებისთვის სამიზნე აუდიტორიის, პერსპექტიული საინვესტიციო ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- დაცული ტერიტორიის საზღვრებში სივრცითი დაგეგმარების კონცეფციის შემუშავება (ეკოტურისტული სერვისები, მარშუტები, ბილიკები, ღირსშესანიშნაობები, ზიპლაინი, კლდეზე ცოცვა, პარაპლანი და ა.შ.).

2.2.6 საპროექტო არეალის განვითარების ხედვა

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების, მათ შორის შერჩეული პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაციების განვითარება ხედვა ეფუძნება მდგრადი ტურიზმის განვითარების პრინციპებს და ითვალისწინებს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგიას, საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურიზმის განვითარებისას პრიორიტეტი ენიჭება არსებული ბუნებრივი გარემოს და ისტორიულ-კულტურული მემკვირეობის ობიექტების დაცვას, შენარჩუნებას და მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვას. საჭიროა ეკოტურიზმის განვითარების ყველა ეტაპი უზრუნველყოფდეს დაინტერესებულ პირთა მაქსიმალურ ჩართულობას, რის საფუძველზე გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი ტრადიციები, ცხოვრების წესი და კულტურული ღირებულებები.

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგს:

- მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით ეკოტურისტული სერვისების დანერგვა და არსებულის განვითარება;
- არსებული და პერსპექტიული ეკოსისტემური სერვისებისთვის ეკონომიკური ღირებულების მინიჭება. უნდა მოხდეს ისეთი რეკრეაციული და საგანმანათლებლო აქტივობების და ახალი ტურისტული პროდუქტების გამოვლენა, რომლებიც ეფუძნება ადგილობრივ ბუნებრივ-კულტურულ ფასეულობებს, კონსერვაციის მიზნებს და ამავე დროს წარმოადგენს შემოსავლის დამატებით წყაროს, მათ შორის:
    - დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისთვის (იგულისხმება პირდაპირი შემოსავლის გამომუშავება დაცული ტერიტორიების კონსერვაციისთვის);
    - ადგილობრივი მოსახლეობისთვის (იგულისხმება ადგილობრივ თემების უშუალო და არაპირდაპირი შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა, რაც დაცული ტერიტორიის კონსერვაციის დამატებით სტიმულს წარმოადგენს);
- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში არსებობს რამდენიმე ლოკაცია, სადაც ეკოტურიზმის განვითარებისთვის საკმაოდ ხელსაყრელი საფუძველი არსებობს (როგორც მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურის, ასევე ტურისტული ბაზრის, ცნობადობის თვალსაზრისით და ა.შ.). თუმცა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დიდი ფართობის მიუხედავად ესეთი ლოკაციების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია. შეზღუდვის მთავარი ფაქტორებია: დაცული ტერიტორიების უმეტეს ნაწილზე ნაკლებად განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები, რთული რელიეფური და კლიმატური პირობები, მრძნობიარე ბიომრავალფეროვნება და სხვა.

დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული განვითარების ხედვა ხელს უწყობს განვითარების მეტ-ნაკლებად თანაბარ შესაძლებლობას დაცული ტერიტორიების ნებისმიერი პერსპექტიულ ეკოტურისტული ლოკაციისთვის. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა წარმოჩინდეს დღეისათვის ნაკლებად ცნობადი, თუმცა ბიომრავალფეროვნებით და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით საინტერესო ტერიტორიები.

2.2.7 გენერალური გეგმის მოქმედების პერიოდი

გენერალური გეგმის პროექტის მოქმედების პერიოდი მოიცავს უახლოეს 10 წელს და არის სარეკომენდაციო ხასიათის.

2.2.8 გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანისა და განახლების პროცესი

დოკუმენტში ცვლილებების შეტანა და განახლება უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, დადასტურებული საჭიროებისამებრ. გენერალური გეგმის პროექტი მომზადებულია ზოგადი კვლევების საფუძველზე და წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს. ცვლილებების შეტანა უნდა განხორციელდეს ხელახლა განხორციელებული დეტალური კვლევების საფუძველზე.

2.2.9 გენერალური გეგმის შესრულების მონიტორინგი

წინამდებარე გენერალური გეგმის პროექტის მონიტორინგი მიზნად უნდა ისახავდეს დოკუმენტში ასახული ეკოტურისტული და ინფრასტრუქტურული განვითარების ზოგადი ხედვების და პრინციპების გათვალისწინებას/ასახვას დაცული ტერიტორიებისთვის მომზადებულ დეტალურ დოკუმენტებში/პროექტებში (მაგ. მენეჯმენტის გეგმა, საინვესტიციო პროექტები, სხვადასხვა კანონქვემდებარე და ნორმატიული აქტები და სხვ.). გენერალური გეგმის პროექტის პრინციპების გათვალისწინებას მონიტორინგს გაუწევს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ და ტერიტორიული ადმინისტრაცია.

3 დაცულ ტერიტორიებზე არსებული ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა და ანალიზი

3.1 ზოგადი სიტუაციური ანალიზი


3.1.1 ადგილმდებარეობა და ფართობი

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე და მოიცავს მდინარეების – ასის, არღუნის, ანდაქისწყლის, ხევსურეთის არაგვისა და ფშავის არაგვის ხეობებს. ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებს ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით – ახმეტის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით – ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – თიანეთის მუნიციპალიტეტი. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობია 77 818 ჰექტარი.

აღსანიშნავია, რომ ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ირგვლივ წარმოდგენილია სხვა დაცული ტერიტორიები. აღმოსავლეთით ესაზღვრება თუშეთის დაცული ტერიტორიები, დასავლეთით ყაზბეგის დაცული ტერიტორიები და სამხრეთით არაგვის დაცული ლანდშაფტი. ჩრდილოეთით ეროვნულ პარკს ესაზღვრება ერზის ნაკრძალი ინგუშეთში.

დაცული ტერიტორიების მდებარეობა ნაჩვენებია ნახაზზე 3.1.1.1.

ნახაზი 3.1.1.1. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა



ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს:

- ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების II კატეგორიას). ფართობი - 73 765 ჰექტარი;
- როშკის ბუნების ძეგლს (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების III კატეგორიას). ფართობი - 110 ჰექტარი;

- ასას აღკვეთილს (შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას). ფართობი - 3943 ჰექტარი;
- ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიები ასევე მოიცავს მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას (დამხმარე ზონა, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას).ფართობი - 2503 ჰექტარი.

3.1.2 არსებული ზონირება

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის და ასას აღკვეთილის ტერიტორიის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონირების მიზანია, მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის და ასას აღკვეთილის თავისებურებების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობის და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები: ბუნების მკაცრი დაცვის ზონა და ტრადიციული გამოყენების ზონა.

<u>ბუნების მკაცრი დაცვის ზონა</u> - ზონა, რომელიც ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამანიპულაციური მეცნიერული კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებზეც ანთროპოლოგიური ზეგავლენა ძალიან უმნიშვნელო იყო. ეს ზონა წარმოადგენს ნაკლებად სახეცვლილ ეკოსისტემებს, გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა ძირითადი ჰაბიტატების გავრცელების არეალს.

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონა მოიცავს ჯიხვის და ნიამორის პრაქტიკულად ხელუხლებელ ჰაბიტატებს. ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით ეს ჰაბიტატები მოიცავენ როგორც ფიჭვნარი ტყის ზონას, ისე ალპურ, სუბნივალურ და ნივალურ ზონებს. შესაბამისად, ამჟამად ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ძირითადი მიზანი ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის საკვანძო სახეობების ჯიხვის და ნიამორის პოპულაციების დაცვა/აღდგენის ხელშეწყობაა. მკაცრი დაცვის ზონა ამავე დროს უზრუნველყოფს აქ მობინადრე სხვა სახეობების კონსერვაციას. სახეობრივი მრავალფეროვნებითა და ენდემიზმით გამორჩეული ალპური და სუბნივალური მცენარეულობისა და ფლორის კომპლექსების დაცვას.

<u>ტრადიციული გამოყენების ზონა</u> - ზონა, რომელიც ეწყობა ბუნების დაცვისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის და აღკვეთილის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად.


ტრადიციული გამოყენების ზონის მთავარი მიზანია ბუნების დაცვის უზრუნველყოფის პარალელურად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპზე დაფუძნებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაშვების გზით და ტრადიციულ შინაურ ცხოველთა შენარჩუნება-აღდგენის ხელშეწყობა. ამდენად საძოვრების მდგრადი გამოყენების მიზნით ტრადიციული გამოყენების ზონა მოიცავს, როგორც ამჟამად აქტიურად გამოყენებად, ასევე პოტენციურ სათიბ-საძოვრებს.

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე გამოყოფილი ფუნქციური ზონების ფართობები მოცემულია ცხრილში 3.1.2.1. არსებული ზონირება ნაჩვენებია ნახაზზე 3.1.2.1.

ცხრილი 3.1.2.1. ფუნქციური ზონების ფართობები

	მკაცრი დაცვის ზონა, ჰა	ტრადიციული გამოყენების ზონა, ჰა
ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი	19 674	54 091
ასას აღკვეთილი	3 461	482
ჯამში	23 135	54 573

ნახაზი 3.1.2.1. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ზონირება



3.1.3 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზანი და მისი ისტორიული განვითარება

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები დაარსდა 2014 წელს, საქართველოს კანონის ,,ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საფუძველზე. კანონის თანახმად ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები შეიქმნა იქ წარმოდგენილი ეროვნული მნიშვნელობისა და დიდი გარემოსდაცვითი და ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი ტერიტორიების, აგრეთვე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ძეგლების დაცვისა და სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნებისათვის, რეკრეაციულ-ტურისტული საქმიანობისა და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

დაარსების შემდგომ დაცული ტერიტორიების საზღვრების კორექტირების მიზნით კანონში შეტანილი იქნა ორი ცვლილება, მათ შორის:

1. 2015 წელს, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (დოკუმენტის ნომერი - 3739-IIს, მიღების თარიღი - 24/06/2015) თანახმად, როშკის ბუნების ძეგლის საერთო ფართობმა შეადგინა 122,4 ჰექტარი. ცვლილების მთავარი მიზეზი როშკისა და არხოტის დამაკავშირებელი საავტომობილო ინფრასტრუქტურის განვითარება იყო.

2. კანონში შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეტანილი იქნა 2021 წელს. „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (დოკუმენტის ნომერი - 1199-VIIრს-Xმპ, მიღების თარიღი - 28/12/2021) თანახმად როშკის ბუნების ძეგლის საერთო ფართობი კიდევ შემცირდა და 110 ჰექტარი შეადგინა. ამავე კანონით, მნიშვნელოვნად შემცირდა ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონა) ფართობი. დამხმარე ზონამ მოიცვა ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის პერიმეტრის შიგნით არსებული ტრადიციული თემები: არხოტი, შატილი, მიღმახევი, აგრეთვე ფშავის ნაწილი (საერთო ფართობით – 2503 ჰექტარი)“. აღნიშნულის მიზეზი იყო არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნა, რომლის პერიმეტრმა გადაფარა ფაშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის სამხრეთით მოსაზღვრე, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბოლო წლებში შემუშავებული იქნა პროექტები რეგიონში და მათ შორის დაცული ტერიტორიის საზღვრებში საავტომობილო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. ამ მხრივ უნდა გამოიყოს პერსპექტიული საავტომობილო გზა სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა - ბაწარა-ახმეტას მიმართულებით. პროექტის განხორციელების შემთხვევაში საჭირო იქნებოდა კანონში დამატებითი ცვლილებების შეტანა და საზღვრების კორექტირება საავტომობილო გზის და მისი განსხვისების ზოლის გამოყოფის მიზნით. თუმცა საბოლოოდ აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის განვითარებაზე უარი ითქვა და დაცული ტერიტორიის საზღვრები უცვლელი დარჩა.

3.1.4 ლანდშაფტები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები გამორჩეულია საქართველოში თავისი უნიკალური ლანდშაფტებით, რომელიც ხასიათდება კარგად გამოხატული ვერტიკალური ზონალურობით. აქ წარმოდგენილია საშუალო მთის, ზედა მთის და მაღალი მთის ლანდშაფტები[1]:

[1] წყარო: მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი

- საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური წიფლნარი, იშვიათად ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის) ტყეებით (ლანდშაფტი 89)
- ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი არყის ხისა და აღმოსავლეთ მუხნარი პარკული ტყეებით (ლანდშაფტი 130)
- ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან პალეოგლაციალური ლანდშაფტი ფიჭვნარი (კავკასიური ფიჭვის), იშვიათად არყის ხის ტყეებით (ლანდშაფტი 133)
- მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით (ლანდშაფტი 137)
- მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი სუბალპური მდელოებითა და მეჩხერი ტყეებით (ლანდშაფტი 141)
- მაღალი მთის პალეოგლაციალურ-დენუდაციური ლანდშაფტი ალპური მდელოებით, დეკიანებთან კომპლექსში (ლანდშაფტი 147)
- მაღალი მთის სუბნივალური ლანდშაფტი (ლანდშაფტი 150)
- მაღალი მთის ვულკანური ლანდშაფტი (ლანდშაფტი 151)

3.1.5 ბიომრავალფეროვნება

3.1.5.1 ფლორა და მცენარეული საფარი

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში წარმოდგენილია ყველა სარტყელი გარდა მთების შუა სარტყელისა. ძირითადად გავრცელებულია სუბალპური ტყეები, მაღალმთის ბუჩქნარები, სუბალპური მაღალბალახეულობითა და მდელოებით, ალპური მდელოები და მაღალმთის ბუჩქნარები, სუბნივალური სარტყელის კლდე-ნაშალ-ღორღიანები ანუ პეტროფილური ფლორა. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში აღრიცხულია მცენარეთა 1213 სახეობა, რაც საქართველოს ფლორის 29.6%-ს შეადგენს.

ტყის ტიპის ჰაბიტატებში გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი:

1. მუხნარ-რცხილნარი ტყეები წარმოდგენილია ქვედა ნიშნულებზე. ძირითადი სახეობებია: ქართული მუხა *(Quercus iberica),* რცხილა *(Carpinus. Caucasica)* და სხვა;
2. ტყის ჰაბიტატები ფიჭვის (*Pinus sosnowskyi*) დომინანტობით გავრცელებულია სამხრეთ ექსპოზიციების კლდოვან მშრალ ეკოტონურ ან კირქვიან ფერდობებზე, ზ.დ. 1500-1800 მ. სიმაღლეზე. ამ ჰაბიტატებში ასევე გვხვდება ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*) და სხვა;
3. სუბალპური არყნარი (*Betula litwinowii)* ტყის ჰაბიტატი გავრცელებულია ჩრდილოეთ ექსპოზიციის ტენიან ფერდობებზე. ტყის ზოლი ჩამოყალიბებულია ზ.დ. 2400-2500 მეტრის სიმაღლეზე. წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*), რადეს არყი (*B. raddeana.*), კავკასიური ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*) და სხვა.

მდელოს ტიპის ჰაბიტატების მრავალფეროვნება ძალიან მდიდარია და აერთიანებს მცენარეების 400 - ზე მეტ სახეობას. სუბალპური მდელოები განლაგებულია ზ.დ. 1800-2500 მ სიმაღლეზე. მდელოებს ქმნიან როგორც მარცვლოვანი მცენარეები, ისე სხვადასხვა ბალახები. მათ შორის არიან: ნამიკრეფიანი (*Agrostis planifolia),* ძიგვიანი *(Nardus stricta),* ჭრელწივანიანი (*Festuca varia),* ბრძამიანი (*Calamagrostis arundinaceae),* ჭრელშვრიელიანი (*Bromus variegatus)* მდელოები.

ალპური მდელოები, გავრცელებულია ზღვის დონიდან 2500-2900 მ-მდე. ამ სიმაღლეებზე დომინანტურია მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოები. განსაკუთრებით საინტერესოა ფშავ-ხევსურეთის სუბნივალური სარტყელის ფლორა. მათგან აღსანიშნავია ფსევდოვესიკარია (*Psevdovesicaria digitata),* სიმფიოლომა (*Symphyoloma graveolens),* ვავილოვია (*Vavilovia formosa),* ბაიერნის ფურისულა (*Primula bayernii)* და სხვა.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში წარმოდგენილია საქართველოს წითელ ნუსხაში შეყვანილი მცენარეთა შემდეგი სახეობები: მაღალი მთის მუხა *(Quercus*

macranthera Fisch.) (VU), რადეს არყი *(Betula raddeana)* (VU), სომხური ამპურა *(Sorbus hajastana)* (EN), შიშველი თელადუმა *(Ulmus Glabra)* (VU). ზოგიერთი სახეობა ასევე შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი: რადეს არყი *(Betula raddeana),* თითისებრი ფსევდოვეზიკარია *(Pseudovesicaria digitata),* მაღალი მთის მუხა *(Quercus macranthera),* სომხური ამპურა *(Sorbus hajastana),* საბურველიანი ტრიგონოკარიუმი *(Trigonocaryum involucratum).* ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილია ბევრი ისეთი სახეობა, რომლებიც ენდემურია კავკასიის რეგიონისათვის (148) და კავკასიონის მთებისთვის (112).

3.1.5.2 ფაუნა

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს მნიშვნელოვან ჰაბიტატს სხვადასხვა სახეობისთვის. ზოგიერთი ამ სახეობის გავრცელება საქართველოში ძალიან შეზღუდულია.

მაღალი მწვერვალები წარმოადგენენ ეროვნულ და გლობალურ დონეზე საფრთხის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის *(Capra cylindricornis)* საბინადრო ადგილს. ჯიხვის ტიპიური საბინადრო ადგილი ვრცელდება ციცაბო დაქანების კლდოვან ფერდობებზე, რომელიც ადამიანისთვის ძნელად მიღწევადია. სუბ-ალპური და ალპური მდელოები მნიშვნელოვანია არჩვისა *(Rupicapra rupicapra)* და კავკასიური როჭოსთვის *(Lyrurus mlokosiewiczi)*. მნიშვნელოვანი სახეობის ძუძუმწოვრებიდან ასევე აღსანიშნავია კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი ფოცხვერი *(Lynx lynx),* ასევე ჯიქი *(Panthera pardus),* ნიამორი *(Capra aegargus),* კეთილშობილი ირემი *(Cervus alaphus),* მურა დათვი *(Ursus arctos)*.

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებისთვის დამახასიათებელია ფრინველთა 132 სახეობა. მათგან 50 სახეობა მთელი წლის პერიოდის მაცხოვრებლები არიან და ბუდობენ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში, მათ შორის არის ეროვნულ დონეზე მოწყვლადი კავკასიური როჭო *(Lyrurus mlokosiewiczi),* ხოლო 57 სახეობა მიგრირებადია, რომელთაგან 16 სახეობა მიგრირებადია გაზაფხულსა და შემოდგომაზე და არ ბუდობს დაცულ ტერიტორიებზე, მათ შორის ეროვნულ და გლობალურ დონეზე მოწყვლადი ბექობის არწივი *(Aquila Heliaca)* და მყივანი არწივი *(Clanga clanga).* 41-მდე სახეობა მიგრირებადი სახეობებია, რომლებიც ზაფხულში იყენებენ დაცულ ტერიტორიებს ბუდობისთვის, მათ შორის არის ეროვნულ დონეზე გადაშენების პირას მყოფი ფასკუნჯი *(Neophron percnopterus).* ფრინველთა 15 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.

ქვეწარმავლებიდან ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე დოკუმენტირებულია ან ივარაუდება ათი სახეობაა. მათ შორის მნიშვნელოვანი სახეობებია: დინიკის გველგესლა *(Vipera dinniki),* ართვინის ხვლიკი *(Darevskia derjugini)* და კავკასიური გველგესლა *(Vipera kaznakovi).* ამფიბიებიდან ცნობილია ან ივარაუდება ექვსი სახეობა. სამი მათგანი კავკასიის ენდემურ სახეობებად ითვლება. მათ შორის ერთი სახეობა კავკასიური ჯვრიანა *(Pelodytes caucasicus),* შეტანილია IUCN წითელ ნუსხაში.

აქაურ მდინარეებში გავრცელებულია მდინარის კალმახი (*Salmo fario Linnaeus, 1758*), რომელიც შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ასევე უნდა აღინიშნოს ჭანარი *(Barbus capito),* რომელიც ბერნის კონვენციის სახეობათა სიაშია.

ამჟამად არ არსებობს სრული მონაცემები ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების უხერხემლოების შესახებ. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მიდამოებიდან ცნობილია 28 პეპლის სახეობა, რომელთაგან 9 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეყვანილი. 7 მათგანი მოწყვლადი სტატუსით. 3 სახეობა კი ბერნის კონვენციის სახეობათა სიაშია.

3.1.5.3 ზურმუხტის ქსელის უბნები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრები (როშკის ბუნების ძეგლის გარდა) მოიცავს პანევროპული ეკოლოგიური ქსელის - „ზურმუხტის ქსელი“ დამტკიცებულ უბანს „არხოტს“ (უბნის კოდი GE0000002).

ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბანი „არხოტი“:

სარეგისტრაციო კოდი: GE0000002;
ფართობი: 79786.3 ჰა;
ბიოგეოგრაფიული რეგიონი: ალპური (100%);
ბოლო განახლების თარიღი: 01.2019;

აღნიშნული უბანი მოიცავს რეზოლუცია #4-ის 7 ტიპის ჰაბიტატს: ტყის ჰაბიტატებიდან წარმოდგენილია: G1.12 - ბორეო-ალპური ჭალის პარკული ტყეები და G1.6 - წიფლნარი. ფართო გავრცელება აქვს ბუჩქოვან და მდელოს ტიპის ჰაბიტატებს: F9.1 - მდინარეული ბუჩქნარი, E1.2 - მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე. მდინარეთა ხეობებში წარმოდგენილია D4.2 ჰაბიტატი - მაღალმთის ფუძე წყალსატევთა და მდინარეთა ნაპირები მდიდარი არქტიკულ-ალპური ფლორით. ამავე ზოლშია გავრცელებულია მდინარეული კენჭნარი ჰაბიტატები: C3.55 და C3.62.

„სტანდარტული მონაცემთა ფორმის“ მიხედვით ზურმუხტის ქსელის უბნების ფარგლებში გავრცელებულია რეზოლუცია #6-ის შემდეგი მნიშვნელოვანი სახეობები: ძუძუმწოვრებიდან უნდა აღინიშნოს მურა დათვი *Ursus arctos*, ფოცხვერი *Lynx lynx* და წავი *Lutra lutra.* ასევე მრავალფეროვანია ხელფრთიანების წარმომადგენლები. ფრინველებიდან გამოსარჩევია ისეთი მტაცებლები, როგორიცაა: არწივის *Aquila* რამდენიმე სახეობა, ზარნაშო *Bubo bubo,* ველის კაკაჩა *Buteo rufinus* და სხვა. ქვეწარმავლებიდან - კავკასიური გველგესლა *Vipera kaznakovi.* რამდენიმე ტიპის ჰაბიტატი წარმოადგენს ბერნის კონვენციით დაცული მცენარეთა სახეობების - მაღალი მოცვი *Vaccinium arctostaphylos,* სიბერიული ლიგულარია *Ligularia sibirica* . თევზებიდან სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში შეტანილია მხოლოდ ჭანარი *Barbus capito.*

3.1.6 კლიმატური პირობები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების კლიმატი იცვლება სიმაღლისა და ლანდშაფტების მიხედვით. საშუალო და ზედა მთის ლანდშაფტების გავრცელების არეალში კლიმატი ზომიერად თბილი ჰუმიდური, ზომიერად კონტინენტური, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით ხასიათდება. მაღალი მთის ზონაში კლიმატი ზომიერად ცივი ჰუმიდური, სუსტად კონტინენტურია, ხოლო სუბნივალური და ვულკანური ლანდშაფტების ფარგლებში კლიმატი მკაცრი და ცივია. სიმაღლეთა მკვეთრი სხვაობის გარდა კლიმატური პირობების მრავალფეროვნებას განაპირობებს მსხვილი ოროგრაფიული ერთეულები, რომელიც ბარიერის როლს ასრულებს.

პირიქითა ხევსურეთის სიმაღლე ზღვის დონიდან 2800-4500 მ-ს აღწევს და ამდენად, ალპური ჰავის ზოლს ეკუთვნის. აქ მთელი წლის მანძილზე ცივი ამინდებია. პირაქეთა ხევსურეთში ბარისახოსა და გუდანში ჰავა მიეკუთვნება მთის ტყეთა ჰავის ზოლს, სადაც ზომიერად ცივა და წლის საშუალო ტემპერატურა +11 °C, ზაფხული თბილია შემოდგომა - მზიანი.

ატმოსფერული ნალექები უმთავრესად თოვლის სახით მოდის. საშუალო მთის ზონაში ნალექები არათანაბრადაა განაწილებული, რომლის მაქსიმუმი მოდის მაის-ივნისზე, ხოლო მინიმუმი - ზამთრის თვეებზე. მაღალი მთის ზონაში ნალექების წლიური რაოდენობა 1000-1100 მმ-ს აჭარბებს.

3.1.7 ჰიდროლოგიური პირობები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები დასერილია მრავალრიცხოვანი მდინარეებით და ხევებით. თუმცა ჰიდროგრაფიული ქსელის მთავარ არტერიებს წარმოადგენენ მდინარეები: არღუნი, ასა და არაგვი, რომელთა სიგრძე 20 კმ-ზე მეტია. სამივე ეკუთვნის კასპიის ზღვის აუზს. მდინარეების მთავარი კვების წყაროა ატმოსფერული ნალექები, მიწისქვეშა წყლები და მყინვარები. მათი უმრავლესობა გამორჩეულია დიდი ვარდნით, სანაპირო ზოლში აქტიური ეროზიული პროცესებით.

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე არის შემდეგი ტბები: ტანიეს ტბა არხოტის უბანზე, მითხულის ტბა შატილის უბანზე, ცოდვიანი ტბა უკანაფშავის უბანზე და კოპალას ტბა უკანაფშავში (ბორბალოს ძირში). აბუდელაურის ტბები მდებარეობს თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. როშკისწყლის მარჯვენა შენაკადის აბუდელაურის სათავეში. ზოგჯერ მათ აბუდელაურის ფერად ტბებს უწოდებენ მათი ლურჯი, მწვანე და თეთრი ფერების გამო. ტბა გამდინარეა და საზრდოობს თოვლის, მყინვარისა და წვიმის წყლით.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არის მინერალური წყლები და კარსტული ტიპის წყაროები. ეს მინერალური წყლები სამკურნალოდ გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. მათ ასევე აქვთ სამრეწველო პოტენციალიც.

3.1.8 ზოგადი გეომორფოლოგიურ-გეოლოგიური აღწერა

ფშავ-ხევსურეთი მდებარეობს დიდი კავკასიონის მთავარ ქედზე და ძალიან რთული, საშუალო და მაღალმთიანი რელიეფით ხასიათდება. დანაწევრებულია მდინარეების ასას, არღუნის, ხევსურეთის არაგვის ეროზიული ხეობებით და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადებით.

ტერიტორიის სუბ-ნივალური და ნივალური ზონები ძირითადად ჩამოყალიბებულია გლაციალური ხევებით, U-ფორმის ხეობებითა და მორენული მთებით. საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი აგებულია იურული, ცარცული და მესამეული ტერიგენულ-კარბონატული, ფლიშური, მოლასური ტერიგენული და თიხოვანი ფორმაციებით. მაღალი მთის ფარგლებში გავრცელებულია იურული ასპიდური ფიქლები, თიხაფიქლები, ცალკეულ ადგილებში დიაბაზური ძარღვები. ალუვიური ნალექები ხასიათდება ფართო გავრცელებით, რომელთა მორფოლოგიური განვითარება დაკავშირებულია კარგად განვითარებული ჭალის და ჭალისებრ ტერასებთან.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში გავრცელებულია მთიანი რაიონებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სახის საშიში გეოდინამიკური პროცესები: მეწყრები, ღვარცოფები, მდინარეული და ფერდობული ეროზია, დატბორვა, კლდეზვავები, ქვათაცვენა და სხვა. აღნიშნული პროცესები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ავსებენ და წინასწარ განსაზღვრავენ ერთმანეთს. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ხასიათდებიან მკვეთრი არაერთგვაროვნებით, რის გამოც ეგზოგენური პროცესების გამოვლენა სხვადასხვა გეოლოგიურ ფორმაციებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს.

3.1.9 ზოგადი სეისმოლოგიური მდგომარეობის აღწერა

ე. გამყრელიძის (2000) გეოტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები მოქცეულია კავკასიონის ნაოჭა (ნაოჭა–ზეწრული) სისტემის მთავარი ქედის და ლაგოდეხის ზონებში. ეს ზონები ხასიათდება იზოკლინური ნაოჭებით. სტრუქტურების წარმოქმნაში განსაკუთრებული როლი ენიჭება განედური რღვევის ხაზებს. შესხლეტვები, შეცოცებები, მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. შესხლეტვების

სიმრავლით გამოირჩევა კარბონატული ფლიში ფშავის ტერიტორიაზე. MSK64 სკალის შესაბამისად ამ ზონის სეისმურობა 9 ბალს შეადგენს. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - A საკმაოდ მაღალია და 0,41-0,45-ს შეადგენს.

3.1.10 მიწათასარგებლობის არსებული პრაქტიკა

რთული მორფოლოგიურ-გეოლოგიური პირობების გამო ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების ზონაში სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ვარგისი მიწები ძალზედ მცირეა. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელისშემშლელი ფაქტორებია ასევე რთული კლიმატური პირობები და გამართული საგზაო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. სასოფლო საქმიანობა მცირე საოჯახო მეურნეობებს მოიცავს, რომელიც შეზღუდული პერიოდი გრძელდება. შედარებით განვითარებულია მეცხოველეობა (ძირითადად მეცხვარეობა) და შესაბამისად ტრადიციული გამოყენების ტერიტორიები მეტწილად სათიბ-საძოვრებს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთები არ არის სრულად რეგისტრირებული, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების კიდევ ერთ შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს.

3.1.11 არსებული ტურისტული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია დროებით განთავსებულია ქალაქ დუშეთში მდებარე, მცირე ფართობის მქონე ოთახში. 2021 წლის ბოლოს დასრულდა ადმინისტრაციული შენობის და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა შატილში, დუშეთის ოფისის შემცვლელი ნაგებობის მშენებლობა დაგეგმილია არანისში (ჟინვალში), ასევე რეინჯერთა სახლების (რეინჯერთა კომბინირებული სადგურები, ვიზიტორთა მომსახურების ცენტრთან ერთად) მშენებლობა 3 უბანზე (უკანა ფშავი, არხოტი, მიღმახევი).

ადმინისტრაციას ჯერ კიდევ მოსაწყობი/დასაკომპლექტებელი აქვს სრულფასოვანი დაცვის და ეკოტურისტული საველე ინფრასტრუქტურა. საველე სამუშაოებისთვის პერსონალს აქვს აუცილებელი აღჭურვილობა, თუმცა დამატებითი აღჭურვილობა საჭიროა, როგორიცაა მაღალი ხარისხის ფოტოაპარატები, საძილე ტომრები, კარვები და ა.შ. ადმინისტრაციას სატრანსპორტო საშუალებებია 7 ავტომანქანა. ასევე რთულ, საველე პირობებში გადასაადგილებლად ჰყავს სათანადოდ აღჭურვილი ცხენი.

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე გამავალი ტრადიციული ტურისტული ბილიკების საერთო სიგრძე 82.25 კმ-ს შეადგენს. აღსანიშნავია შემდეგი ტურისტული ბილიკები:

1. არხოტის ხეობის ტურისტული ბილიკი

თავდაპირველად მარშრუტი საავტომობილო გრუნტის გზას მიუყვება და არხოტის ხეობის ორ სოფელს, ახიელსა და ამღას გაივლის, რომელთაც ძალიან საინტერესო და ავთენტური არქიტექტურა გააჩნიათ. სოფ. ამღას შემდეგ, მარშრუტი საფეხმავლო ბილიკზე გადადის და მარტივ კატეგორიას განეკუთვნება, ვიდრე არ მიაღწევს მდ. ასას და მდ. ტანიეს შესართავს, საიდანაც ის რთულ კატეგორიაში გადადის. აქედან ბილიკი მდ. ტანიეს ხეობას მიუყვება და საბოლოოდ ტანიეს მესაზღვრეთა საგუშაგომდე მიდის, სადაც აუცილებელია რეგისტრაციის გავლა და საშვების წარმოდგენა. ბილიკის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ხეობის სივიწროვე და ხიდების არარსებობა.

2. ტანიეს უღელტეხილი - ტანიეს მესაზღვრეთა ბაზა

ტანიეს უღელტეხილი, ბილიკებით გათვალისწინებული ქსელის ერთ-ერთი საკვანძო გზაგასაყარია. ამ წერტილიდან ბილიკი საშუალო სირთულეში გადადის და ტანიეს ტბასთან ეშვება, რომლიც ბილიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზიდულობის ცენტრი და ბუნებრივი

ღირსშესანიშნაობაა. ტანიეს ტბიდან ბილიკი მარტივ კატეგორიაში გადადის, ხეობას მიუყვება და მესაზღვრეთა საგუშაგომდე მიდის. ტანიეს უღელტეხილიდან ტანიეს ტბამდე მიმავალი ბილიკი საკმაოდ კარგად ამჩნევია, თუმცა გვხვდება პარალელური ბილიკები და რამდენიმე მონაკვეთს ესაჭიროება სერპანტინების მოწყობა. ტანიეს ტბიდან ტანიეს მესაზღვრეთა ბაზამდე მიდის მარტივი კატეგორიის ბილიკი.

3. ხახაბოს ხეობის ბილიკი

ბილიკი დათვისჯვრის უღელტეხილის სიახლოვეს, საშუალო სირთულის მონაკვეთით იწყება, ტრაქტორის მიერ გაჭრილ გზას მიუყვება, ჭანჭახის უღელტეხილს გადაივლის და მდ. ჭანჭაისწყლის ხეობაში ეშვება, საიდანაც 10 კმ.-ის დაფარვის შემდეგ, ძალიან შთამბეჭდავი და ავთენტური არქიტექტურის მქონე, სოფელ ხახაბომდე მიდის. ხახაბოდან ბილიკი მდ. ანდაქისწყლის შესართავამდე მიდის, საიდანაც ბილიკის საბოლოო დანიშნულების პუნქტში - ადგილ ხიდოტანში მოსახვედრად ორი ვარიანტი არსებობს. მათგან ერთი ჩრდილოეთით გრძელდება, საავტომობილო გრუნტის გზას მიუყვება, სოფელ არდოტის ძირში გაივლის და ციხე-სოფელ მუცოსთან მიდის. მუცოდან ბილიკი სოფელ ხონიჭალამდე მიმავალ საავტომობილო გზას მიუყვება, შემდეგ საფეხმავლო გზაზე გადადის და საბოლოოდ ადგილ ხიდოტანში ადის. დათვისჯვრის უღელტეხილიდან ჭანჭახის ხეობაში მიმავალი ბილიკი ძირითადად ტრაქტორის მიერ გაჭრილ გზას მიუყვება, რომლის უმეტეს მონაკვეთებზე მანქანით გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელია. მარშრუტის ეს მონაკვეთი ხეობას მიუყვება და ხშირად კვეთს მდინარეს. გვხვდება რთულად გასავლელი და ეროზირებული მონაკვეთები.

4. ბახაო-ხიდოტანი-მუცოს ბილიკი

ბახაოს გავლით ხიდოტანში ამავალი ბილიკის უმეტესი ნაწილი მძლიერ გაბალახებულია და რთულია მასზე გადაადგილება-ორიენტირება. მარშრუტის ზოგიერთ მონაკვეთს ბილიკი საერთოდ არ ეტყობა ან პირიქით, მრავალი ურთიერთგადამკვეთი ბილიკია. ხიდოტანში ამავალი მეორე ბილიკი გაივლის სოფ. მუცოსთან, ხოლო შემდეგ სოფ. ხონიჭალის გავლით აღწევს ხიდოტანში. ამ ბილიკის გარკვეული ნაწილი მიუყვება სამანქანო გზა, ხოლო სოფ. ხონიჭალის შემდეგ გადადის საფეხმავლო ბილიკზე. ამ მომენტიდან ბილიკზე გვხვდება ეროზიული და დახრამული ადგილები. ხშირია პარალელური ბილიკები და გზაჯვარედინები. ბილიკების ასეთი კომბინაცია (ორი ალტერნატიული ბილიკი) მოგზაურებს საშუალებას აძლევს რომ მოინახულონ ტურისტულად მიმზიდველი სოფლები: არდოტი და მუცო.

5. ხიდოტანი - აწუნთის უღელტეხილის ბილიკი


მარშრუტი ადგილ ხიდოტანში იწყება, საშუალო სირთულის ბილიკით მიუყვება ხიდოტანი ქედს და აწუნთის უღელტეილის ძირში მიდის. აქედან ბილიკი რთულ კატეგორიში ინაცვლებს და აწუნთის უღელტეხილზე გადადის. აწუთა, ხევსურეთისა და თუშეთის დამაკავშირებელი მთავარი უღელტეხილი და ტურისტულად ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ადგილია.

მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გეგმავს აღნიშნული ბილიკების განახლება-კეთილმოწყობას. ამ სამუშაოების განხორციელება იგეგმება „ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის დაცული ლანდშაფტების დამაკავშირებელი მდგრადი ვიზიტორთა ბილიკების და მთის ქოხების განვითარების პროექტის“ სახელწოდებით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ბილიკების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა, რთულ მონაკვეთებში მისი გაფართოება, შესაბამის ადგილებში საფეხმავლო გადასასვლელების მოწყობა, საჭირო მონაკვეთებში ეროზიის თავიდან აცილებისა და ბილიკის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით შესაბამისი სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და მანიშნებელი

დაფების განთავსება და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბილიკების ქსელზე შერჩეულ უბნებზე გათვალისწინებულია ალპური ქოხების მოწყობა. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სულ 7 ალპური ქოხი, მათ შორის კონკრეტულად ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში - 5 ალპური ქოხი. ქოხების ადგილმდებარეობები და საპროექტო პარამეტრები შერჩეულია ისე, რომ ერთის მხრივ შერწყმული იყოს არსებულ ლანდშაფტურ გარემოსთან და მეორეს მხრივ ქოხში მყოფი მოგზაურებისთვის გამოჩნდეს მაქსიმალურად ესთეტიური ხედები.

ტურისტული ბილიკების განლაგების სქემა და დაგეგმილი ალპური ქოხების ადგილმდებარეობები ნაჩვენებია ნახაზზე 3.1.11.1.

ნახაზი 3.1.11.1. ტურისტული ბილიკების სქემა



3.1.12 არსებული კომუნიკაციების ქსელი

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო საბაზო ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციების ქსელი ძალზედ სუსტად არის განვითარებული.

მთავარი გამოწვევაა გზების ცუდი მდგომარეობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის არარეგულარული გრაფიკი. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოვლინდა ჟინვალი- შატილი-მუცოს საავტომობილო გზის პრობლემა. ეს გზა ბოლოს გასული საუკუნის 80-იან წლებში გაკეთდა და ოთხი დეკადის მანძილზე მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ ჩატარებულა. უგზოობის გამო ბევრად რთული მდგომარეობაა არდოტის და მის ზემოთ მდებარე სოფლებში, სადაც გზები წყალზე გადადის. წყალუხვობის დროს მდინარეები აზიანებს საფეხმავლო და საავტომობილო ხიდებს და მოსახლეობა გარესამყაროსგან მოწყვეტილი რჩება. გზების დიდ მონაკვეთებზე მოუწყობელია და მოუწესრიგებელია საგზაო მანიშნებლები.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში ბოლო პერიოდში დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან აუცილებელია აღინიშნოს სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი. პროექტის განხორციელება დაგეგმილი იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. პროექტი მიზნად ისახავდა გაზრდის მაღალმთიანი სოფლების მაცხოვრებლებისთვის სატრანსპორტო გადაადგილების შესაძლებლობის გაზრდას, რაც დადებითად იმოქმედებდა ადგილობრივ ტურიზმზე და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. თუმცა პროექტის განხორციელება შეჩერდა ნებართვების მიღების ეტაპზე, რისი მიზეზიც რელიფური პირობების სირთულე და დაბალი ეკონომიკური რენტაბელობა გახდა.

დასახლებული პუნქტების უმრავლესობაში შეზღუდულია მობილური კომუნიკაცია. ელექტროენერგიის მიწოდება შეზღუდულია ან საერთოდ არ მიეწოდება სოფლების დიდ ნაწილს. პრობლემურია ნარჩენების მართვა, რაც გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

3.1.13 მომიჯნავედ არსებული დასახლებები

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიების მოსაზღვრედ წარმოდგენილია 40-მდე სოფელი და ნასოფლარი. წელიწადის უმეტეს პერიოდში დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი მთლიანად იცლება მოსახლეობისგან, რომლებიც გამოსაზამთრებლად ბარში ჩამოდიან.

ადგილზე მოპოვებული ინფორმაციით ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლების მაცხოვრებელთა ფაქტიური (2022 წლის მონაცემებით) რაოდენობები მოცემულია ცხრილში 3.1.13.1.

ცხრილი 3.1.13.1. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობის ფაქტიური რაოდენობა

თემი/სოფელი	კომლი	შენიშვნა
არხოტის უბანი:		
• ამღა	8	3 კომლი მთელი წლის განმავლობაში
• ჭიმღა:	1	მთელი წლის განმავლობაში
• ახიელი	18	8 კომლი მთელი წლის განმავლობაში
შატილის უბანი		
• ლებაისკარი	1	სეზონურად
• კისტანი	3	

• შატილი	20	10 კომლი მთელი წლის განმავლობაში
მიღმახევის უბანი		
• მუცოს ჭალა	5	4 კომლი მთელი წლის განმავლობაში
• არდოტი	10	სეზონურად
• ხონე	4	სეზონურად
• ხონეს ჭალა	6	სეზონურად
ფშავის უბანი		
• ზარისჭალა	1	
• გოგოლაურთა	2	სეზონურად
• მუქო	4	
• ხოშარა	2	
• ახადი	2	
• ჩალახევი	2	

3.2 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის აღწერა

3.2.1 ტურიზმის განვითარების არსებული მიმართულებები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული მიმართულებები ეფუძნება ეკო-ტურიზმის აქტივობებსა და ადგილობრივი მოსახლეობის ტურისტულ სერვისებს. ადგილობრივი და უცხოელი ტურისტებისთვის მთავარ მიმზიდველობას ქმნის კავკასიონის მთების თვითმყოფადი ლანდშაფტი, ადგილობრივი მოსახლეობა, კულტურა და ისტორია. პრიორიტეტული მიმართულებაა სათავგადასავლო აქტივობები და კულტურული ტურიზმი. ბოლო პერიოდში ფეხს იკიდებს საგანმანათლებლო, აგრო და გასტრონომიული ტურიზმი. ტურისტული აქტივობა სეზონურია და ძირითადად მოიცავს მაისი-ოქტომბრის პერიოდს. ვიზიტორთა სიმრავლე განსაკუთრებით იგრძნობა ზაფხულის თვეებში (ივლისი/აგვისტო).

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორია შედარებით ახალია და ჯერ კიდევ უცნობია ვიზიტორთათვის და სათანადოდ არ არის შეფასებული ტურ-ოპერატორების მიერ. თუმცა, საკმაოდ ცნობილია შატილი, მუცო, დათვისჯვრის ხეობა, ასევე პოპულარულია დიდი კავკასონის ბილიკი (აღმოსავლეთ მონაკვეთი) თუშეთიდან ყაზბეგამდე.

ბარისახოდან როშკამდე გზის გაუმჯობესების შედეგად დიდი პოპულარობით სარგებლობს აბუდელაურის ტბები და ჭაუხის მასივი. სხვა ადგილები როგორიცაა: უკანაფშავი, არხოტი/ასას ხეობა, ალტენატიული მარშრუტი ბორბალოს ხეობის გასწვრივ და უამრავი სხვა თვალწარმტაცი ადგილი სალაშქროდ ჯერ კიდევ უცნობია. ბოლო პერიოდში მოინიშნა საცალფეხო ბილიკების ნაწილი, შეიქმნა შესაბამისი რუკები. თუმცა ეს ადგილები ჯერ კიდევ არ არის პოპულარული და მარკეტინგულ აქტივობებს საჭიროებს.

ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დაცულ ტერიტორიებს 2017 წელს 5569 სტუმარი ექვია. 2018 წლის მონაცემებით ვიზიტორთა რაოდენობა განახევრდა და შეადგინა 2529 ადამიანი. ბოლო წლებში ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკაზე გარკვეული გავლენა პანდემიამ იქონია. თუმცა 2020-2022 წლის სტატისტიკური მონაცემებით დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა მნშვნელოვნად არ შემცირებულა და 3000-4000-ს შეადგენდა. ვიზიტორთა ინტერესის სფეროს ძირითადად აბუდელაურის ტბები და შატილი წარმოადგენდა. ვიზიტორების ინტერესის ძირითად სფეროს სალაშქრო და სათავგადასავლო, ასევე ექსტრემალური აქტივობები წარმოადგენს.

3.2.2 ისტორიულ-კულტურული ობიექტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განვითარების პერსპექტივები

საქართველოს ამ მხარეში არაერთი კულტურულ-არქიტექტურული ძეგლია, რომლებიც ქართული ყოფითი კულტურის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენს. მთის კალთებზე შეფენილი დასახლებები, სალოცავები, თავდაცვითი დანიშნულების თუ სხვა ნაგებობები ადგილობრივი ლანდშაფტის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. გეოგრაფიულმა იზოლაციამ და ცხოვრების წესმა, რაც, ძირითადად, მეცხვარეობასთან და თავდაცვასთან იყო დაკავშირებული, ხელი შეუწყო თვითმყოფადი, ლოკალური კულტურისა და ტრადიციების წარმოშობასა და შენარჩუნებას, რაც არაჩვეულებრივად მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის ამ მხარეს.

შატილი ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია. კლდეზე შეფენილი სოფელი ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც. შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ციხე-სახლები, კოშკები, სალოცავები და სხვა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მრავლად გვხდება სოფლებსა და ნასოფლარებში. ტურისტებისთვის ინტერესის საგანს წარმოადგენს სოფლები მუცო და არდოტი, აქ არსებული საბრძოლო დანიშნულების ციხე-კოშკები და საცხოვრებლი ნაგებობები. გამოსარჩევია ანატორი პირიქითა ხევსურეთში, შატილიდან დაახლოებით 3 კილომეტრში. წარმოდგენილია შუა საუკუნეების რამდენიმე მიწისზედა და ნახევრად მიწისზედა აკლდამა.

ფშავ-ხევსურეთი ასევე გამოირჩევა ტრადიციებითა და კულტურული ფასეულობებით. ხევსურეთში ზოგიერთ ლოდებსა და ტრადიციული ტანსაცმლის (ტალავარი) ზედაპირებზე გამოსახულია პიქტოგრამები სხვადასხვა გეომეტრიული დიზაინითა და სხვა თავისებურებებით. ქვის ძეგლებისა და კოსმოგრაფიული პიქტოგრამების მნიშვნელობა მოითხოვს სრულ გამოკვლევას, მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიმრავლიდან გამომდინარე ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივები არსებობს. კულტურული და პილიგრიმული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის რეკომენდირებულია:

- მჭიდრო თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და საქართველოს საპატრიარქოსთან, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ არსებული ისტორიულ-კულტურული ობიექტების რესტავრაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ისტორიულ-კულტურული ობიექტების სიახლოვეს ინფრასტრუქტურის (მათ შორის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის) განვითარების ხელშეწყობა (გზები, ბილიკები, ბილიკებზე საინფორმაციო დაფები და ა.შ.). ამ თვალსაზრისით მჭიდრო თანამშომრობლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და სხვა;
- საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა, როგორც ისტორიულ-კულტურული ძეგლების პოპულარიზაციის, ასევე ვანდალიზმის პრევენციის მიზნით. შესაბამისი საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება და ვიზიტორთა ცენტრებში განთავსება;
- კულტურული ან რელიგიური ფესტივალების ორგანიზება. ფესტივალების ფარგლებში ვიზიტორთა ცენტრებში, სხვა არსებულ თუ პერსპექტიულ ტურისტულ ლოკაციებზე ან ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს ეკომუზეუმების მოწყობა. ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ადაპტირება ეკოტურიზმის სერვისებზე - ფესტივალების ფარგლებში ხელნაკეთი რელიგიური და საეკლესიო ნივთებისთვის გამოფენა-გაყიდვისთვის შესაბამისი სივრცეების მოწყობა;

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც პერსპექტიული ტურისტული მომსახურების მომწოდებლები;
- ტურისტები (მათ შორის მომლოცველები, მეცნიერები და ა.შ.).

3.2.3 ტურისტული და რეკრეაციული ობიექტები, განვითარების პერსპექტივები, არსებული მოსარგებლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მის მიმდებარედ ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები ნაკლებად არის განვითარებული. პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი მსხვილი სასტუმრო კომპლექსები და რესტორნები. ძირითადად მცირე ზომის საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლები და კვების ობიექტებია წარმოდგენილი მხოლოდ რამდენიმე დასახლებაში, როგორიცაა შატილი, მუცო, არდოტი, ანდაქი, ახიელი. ყველა სასტუმროში მომსახურება სეზონურია და მოიცავს ძირითადად ივნისიდან სექტემბრის პერიოდს. მოპოვებული ინფორმაციით დაცული ტერიტორიების საზღვრებში არსებული ძირითადი საოჯახო ტიპის სასტუმროების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 3.2.3.1.

ცხრილი 3.2.3.1. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებული ძირითადი ტურისტული ობიექტების ჩამონათვალი

№	ტურისტული ობიექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	აღწერა
1.	საოჯახო სასტუმრო „სულფონი“	სოფელი შატილი	სასტუმროში არის 6 ოთახი და შესაძლებელია 14 ადამიანის განთავსება.
2.	საოჯახო სასტუმრო „მზიანი“	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 6 ოთახი და 3 სველი წერტილი. სასტუმროში შესაძლებელია 14 ადამიანის განთავსება.
3.	საოჯახო სასტუმრო „წინა ციხე“	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმრო განთავსებულია ისტორიულ კოშკში. სასტუმროში არის 10 ოთახი და შესაძლებელია 20 ადამიანის განთავსება. მომსახურება ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით.
4.	საოჯახო სასტუმრო „Ethnic Hostel”	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმრო განთავსებულია ისტორიულ კოშკში. სასტუმროში არის 3 ოთახი და 7 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.
5.	საოჯახო სასტუმრო „ტყუპები“	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 11 ოთახი და 32 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.
6.	საოჯახო სასტუმრო „ნიკა“.	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 9 ოთახი და ჯამში 20 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.
7.	საოჯახო სასტუმრო „Summer House”	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 19 ოთახი და ჯამში შესაძლებელია 40 ადამიანის განთავსება.
8.	საოჯახო სასტუმრო „Green House”	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 6 ოთახი და 20 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.
9.	საოჯახო სასტუმრო „აპარეკა“	სოფელი შატილი	სასტუმრო განთავსებულია კოშკში. კოშკში არის 3 ოთახი და შესაძლებელია 7 ადამიანის განთავსება.
10.	მარინას საოჯახო სასტუმრო	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 3 ოთახი; ჯამში შესაძლებელია 10 ადამიანის განთავსება.
11.	საოჯახო სასტუმრო „Doctor’s house”	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 12 ოთახი და ჯამში 25 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი. მომსახურება ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით.
12.	საოჯახო სასტუმრო	სოფელი	საოჯახო სასტუმრო განთავსებულია ისტორიულ კოშკში.

	„ჯალაბაური“	შატილი	სასტუმროში არის 6 ოთახი და ჯამში შესაძლებელია 16 ადამიანის განთავსება.
13.	ვაჟას საოჯახო სასტუმრო	სოფელი შატილი	საოჯახო სასტუმროში არის 4 ოთახი და შესაძლებელია 12 ადამიანის განთავსება.
14.	ჯურხას საოჯახო სასტუმრო	სოფელი შატილი	ჯურხას საოჯახო სასტუმრო განთავსებულია ისტორიულ კოშკში. სასტუმროში არის 3 ოთახი და 7 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.
15.	მზიას საოჯახო სასტუმრო	სოფელი მუცო	საოჯახო სასტუმროში არის 3 ოთახი და 1 სველი წერტილი. სასტუმროში შესაძლებელია 10 ადამიანის განთავსება.
16.	საოჯახო სასტუმრო „არდოტი“	სოფელი არდოტი	საოჯახო სასტუმროში არის 10 ოთახი და ჯამში 20 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი
17.	ანდაქის ძველი საოჯახო სასტუმრო	სოფელი ანდაქი	საოჯახო სასტუმროში არის სამი ოთახი და 1 სველი წერტილი. სასტუმროში 6 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.
18.	საოჯახო სასტუმრო „ახიელი“	სოფელი ახიელი	საოჯახო სასტუროში არის 3 ოთახი და ჯამში 10 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.
19.	საოჯახო სასტუმრო „არხოტი“	სოფელი ახიელი.	-

საოჯახო ტიპის სასტუმროებში შესაძლებელია ადგილობრივი ტრადიციებით დამზადებული კერძების დაგემოვნება, ზოგიერთი მათგანი სტუმრებს სთავაზობს ცხენის, მთის გიდების, ჯიპის მძღოლების დაქირავებას.

ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების სიმწირესთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს, რომ ესეთი ობიექტები ძირითადად განვითარებულია დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ. შესაბამისად მათგან დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ფინანსურ-ეკონომიკური სარგებელი პრაქტიკულად არ არსებობს.

დაცული ტერიტორიების კონსერვაციისთვის საჭირო ხარჯების მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე მსოფლიოს არაერთი ქვეყანა მიმართავს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის სტრატეგიას, რაც ორმხრივი სარგებლის მომტანია. მათ შორის ხდება კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების განვითარება დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ლიცენზიის ან შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე. ესეთი მიდგომა საშუალებას აძლევს კერძო კომპანიებს განახორციელონ კომერციული ოპერაციები დაცულ ტერიტორიაზე, ხოლო დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციამ მიიღოს პირდაპირი ფინანსური სარგებელი ბიზნესიდან.

შემოთავაზებულია, რომ ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების შემდგომი განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა. თუმცა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე აუცილებელი მოთხოვნაა, რომ კავშირი კერძო ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შემოსავალსა და დაცული ტერიტორიის კონსერვაციას შორის იყოს ძალიან მჭიდრო. აღსანიშნავია, რომ სათანადო დაგეგმარების და მენეჯმენტის პირობებში მსგავსი საიჯარო ხელშეკრულებები ხელს უწყობს კერძო სექტორის მოთხოვნების დაბალანსებას დაცულ ტერიტორიებზე განვითარებისთვის და შეზღუდული რაოდენობის კონტროლირებად ბიზნეს-საქმიანობას.

კერძო სექტორთან თანამშრომლობით ტურისტული და რეკრეაციული ობიექტების განვითარება შესაძლებელია როგორც ტურისტებისთვის ტრადიციულ და პოპულარულ ლოკაციებზე, ასევე პერიფერიულ ადგილებში, რომელთა ცნობადობა დაბალია, თუმცა ეროვნულ პარკში არსებული და დაგეგმილი ტურისტული ინფრასტრუქტურა (მაგ. ტურისტული ბილიკების ქსელი) სასარგებლო განლაგებაში იმყოფებიან მათთან. ახალი ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტების შესახებ შემოთავაზებები აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის სარეკომენდაციო ნაწილში (პარაგრაფი 4).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- კერძო ბიზნესი;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი მოსახლეობა;
- ტურისტები.

3.2.4 ტრადიციული საქმიანობებით და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალი, განვითარების პერსპექტივები, დაინტერესებული მხარეები

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიების ფარგლებში ტრადიციული გამოყენების ზონებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება დასაშვებია. ადგილობრივი თემები მიწებს იყენებენ სახნავად, საძოვრებად და სათიბად. თუმცა აღსანიშნავია, რომ რელიეფის სირთულის გამო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ვარგისი მიწები ძალზედ შეზღუდულია. ზოგიერთი ადგილი (ხატის ტყეები) ტრადიციულ დაცულ ზონებს წარმოადგენს და მასში სამეურნეო საქმიანობა მკაცრად იკრძალება.

მხარე მდიდარია ტყის არამერქნული პროდუქტით - მოსახლეობა მოიპოვებს ხილ-კენკრას, სოკოს, სხვადასხვა სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებების მქონე მცენარეებს ან მცენარეთა ნაყოფებს და სხვ. დაცული ტერიტორიების ზოგიერთ ადგილას (მაგ. ასას აღკვეთილი, ფშავის არაგვის ხეობა და სხვა) საკუთარი მოხმარების მიზნით მოსახლეობა მისდევს მეფუტკრეობას.

ფშავ-ხევსურეთში ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნადირობას (ჯიხვზე, ნიამორზე, არჩვზე, დათვაზე და სხვა). ასევე, ხევსურეთსა და ფშავში ადგილობრივი მოსახლეობა ეწეოდა თევზის (ნაკადულის კალმახის) მოპოვებას. დღეისათვის ნადირობის და ტყის მერქნული რესურსის არაკონტროლირებადი მოპოვების ფაქტები მკვეთრად შემცირებულია, რაც გამკაცრებული კონტროლს (მათ შორის დაცული ტერიტორიის რეინჯერების მხრიდან) უკავშირდება.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში ტრადიციული საქმიანობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელნაკეთი ნივთების დამზადება-რეალიზაცია - ხალიჩების, გობელენებისა და წინდების ქსოვა, ვერცხლის სამკაულები კეთება, საოჯახო ნივთების დამზადება და სხვა ხალხური საქმიანობა. ესეთი ტრადიციული საქმიანობები აქტუალობას დღესაც არ კარგავს. როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვიზიტორების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ტრადიციული სამზარეულო.

ტრადიციული საქმიანობების პოპულარიზაციისა და ამავე დროს ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის პოტენციალის ზრდისთვის მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მოსახლეობასთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან. შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოება და მოსახლეობის ტრეინინგები. შესაძლებელია ზოგიერთი ტრადიციული საქმიანობის ეკოტურისტული სერვისის სახით ვიზიტორებისთვის შეთავაზება (ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება, ტურების დაგეგმვა ტყის არამერქნული რესურსების შეგროვების მიზნით, ფესტივალების ჩატარება ადგილობრივი ტრადიციების და სამზარეულოს პოპულარიზაციის მიზნით და ა.შ.).

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;

- ადგილობრივი ხელისუფლება;
- ადგილობრივი ბიზნესი;
- ადგილობრივი მოსახლეობა;
- ტურისტები.

3.2.5 ეკოსისტემური სერვისები, დაინტერესებული მხარეები და განვითარების პერსპექტივები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები თავისი განლაგებით და უნიკალური ბუნებრივ-ლანდშაფტური კომპონენტების წყალობით ეკოსისტემური სერვისების მნიშვნელოვან მომწოდებელს წარმოადგენს. აქ იგულისხმება მოსახლეობისთვის ეკოსისტემის როგორც პირდაპირი პროდუქტების (მაგ. საკვები, წყალი და სხვა) მიწოდება, ასევე მარეგულირებელი, კულტურული და სხვა დამხმარე სერვისების შეთავაზება.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში გამდინარე მდინარეები, აქ წარმოდგენილი ტბები მტკნარი წყლის დიდ რეზერვს წარმოადგენს. დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარე არაგვს, რომელიც კვებავს ჟინვალის წყალსაცავს და გამოიყენება ენერგო გამომუშავებისთვის და ქ. თბილისის სასმელი წყლით უზრუნველყოფისთვის. სამრეწველო პოტენციალი გააჩნია აქ არსებულ მინერალურ წყლებს და კარსტული ტიპის წყაროებს.

დაცულ ტერიტორიებს გააჩნია მნიშვნელოვანი მარეგულირებელი ფუნქცია, რაც შემდეგ მიზნებს ემსახურება: საკმაოდ დიდ ფართობზე წარმოდგენილი ტყის მასივები ეროზიისა და წყალდიდობის კონტროლს უზრუნველყოფს, ხდება კლიმატური და მიკროკლიმატური პირობების რეგულირება, წყლის ბუნებრივი გაწმენდა და ა.შ.

კლიმატურ-ლანდშაფტური თავისებურებები და ბიომრავალფეროვნების უნიკალური კომპონენტები არამატერიალური, კერძოდ კულტურული მომსახურების მიწოდების შესაძლებლობასაც ქმნის, რაც გამოიხატება რეკრეაციულ, შემეცნებით, ესთეტიკურ და სულიერ საქმიანობაში. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები არაერთი სამეცნიერო ნაშრომის საკვლევ ბაზას წარმოადგენდა და დღეის მდგომარეობითაც სამეცნიერო კვლევების ჩატარების დიდი პოტენციალი გააჩნია. აქ არსებული ეკოსისტემების მრავალფეროვნება არამარტო ადგილობრივ, არამედ ეროვნულ და გლობალურ კულტურაშიც კი ბუნებასთან ურთიერთქმედებით დაბადებული კრეატიულობის (მუსიკა, ხელოვნება, არქიტექტურა) წყარო შეიძლება გახდეს.

ეკოსისტემური სერვისების განვითარების შესაძლებლობა პირდაპირ კავშირშია ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, ვიზიტორებში და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებასთან, ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობასთან; ტრადიციული საქმიანობების ხელშეწყობასთან და ა.შ. თუმცა ეს ყველაფერი აუცილებელია მოხდეს კონსერვაციის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებით დაცვით.

ძირითადი დაინტერესებული მხარეები:
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ადგილობრივი ხელისუფლება;
- მოსახლეობა (არამარტო ადგილობრივი);
- ტურისტები და სხვა.

3.2.6 ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების პერსპექტივები

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის არსებული მიმართულებები დაკავშირებულია ველური ბუნების, მთისა და ტყის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობასთან, რაც იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს.

ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის გაძლიერება შესაძლებელია არსებული ეკოტურისტული ლოკაციების შენარჩუნება-განვითარების პარალელურად, ახალი ობიექტების მოწყობის გზით. ბოლო პერიოდის საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ასეთი ეკოტურისტული ობიექტების მოწყობა დაცული ტერიტორიების საზღვრებშიც ხდება, გარდა მკაცრი დაცვის ზონებისა. რეკომენდირებულია განვითარება მოხდეს კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით, თუმცა დაცული ტერიტორიების კონსერვაციის პრინციპების მაქსიმალური დაცვით. ესეთი მიდგომა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ფულადი შემოსავლების პირდაპირ ზრდას, რაც ისევ დაცული ტერიტორიების კონსერვაციისკენ იქნება მიმართული.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის განვითარების რეკომენდაციები მოცემულია პარაგრაფში 4.

3.3 დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის შედეგები



შეხვედრები გაიმართა როგორც ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასთან (შატილი, არხოტი, ფშავი).

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა ქ. დუშეთში არსებულ ადმინისტრაციულ შენობაში. შეხვედრების დროს ადმინისტრაციას მიეწოდა წინასწარი ინფორმაცია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმის პროექტის მიზნებისა და ამოცანების, დაგეგმილი აქტივობების და სამომავლო საჯარო განხილვების შესახებ. თავის მხრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ განხორციელდაა არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდება და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ ხედვის გაზიარება.



ადმინისტრაციასთან შეხვედრის შემდგომ მიზნობრივი შეხვედრა გაიმართა შატილში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის რეინჯერებთან. შეხვედრის დროს გაანალიზებული იქნა არსებული კარტოგრაფიული მასალა, წარსული გამოცდილება და იდეები. მათი დახმარებით მოხდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის პერსპექტიული ადგილების მონახულება და არსებული მდგომარეობის შეფასება.

საველე ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი პრობლემები და მათი მოლოდინები.

მოსახლეობისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს განუვითარებელი საგზაო და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ელექტროენერგიის შეფერხებული მიწოდება და

ზოგიერთ ხეობაში ინტერნეტისა და მობილური კავშირის არარსებობა. ყოველივე ეს თავის მხრივ მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ტურიზმზე - განაპირობებს ტურისტული სეზონის მცირე ხანგრძლივობას და ფართო სეგმენტის ვიზიტორების ნაკლებობას.



დისკუსიის შედეგად ტურისტული ინფრასტუქტურის განვითარების კიდევ ერთ შემაფერხებელ გარემოებად გამოიკვეთა მცირემიწიანობა - თითქმის ყველა, შედარებით ვაკე ტერიტორია მოსახლეობის საკუთრებაშია და სრულად ამორიცხულია ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან. ეს გარემოება კიდევ უდრო ართულებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ხელსაყრელი ტერიტორიების მოძიებას.

მნიშვნელოვან პრობლემად წარმოჩინდა მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი და უარყოფითი დემოგრაფიული პირობები. მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი ფშავ-ხევსურეთში (ფშავი, პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი) მაისში ადის და იქ ოქტომბრის ბოლომდე რჩება, შემდეგ კი თავის ძირითად საცხოვრებელს ადგილს უბრუნდება ბარში. სულ უფრო მცირდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ფშავ-ხევსურეთში მთელი წლის განმავლობაში ცხოვრობენ.

შესწავლილ ხეობებში ადგილობრივი მოსახლეობას საკმაოდ ფრთხილი მოლოდინები გააჩნია პერსპექტივაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი გამოკუთხულის აზრით ხეობებში ინვესტიციების განხორციელებამ შეიძლება გაზარდოს კონკურენცია და გამოიწვიოს ადგილობრივი მცირე მეწარმეების საქმიანობის (მცირე ზომის სასტუმროები და ა.შ.) შეზღუდვა. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი შიშობს, რომ ტერიტორიაზე ბიზნესის შემოსვლით ფშავ-ხევსურეთის მხარემ შეიძლება დაკარგოს თავისი ავთენტურობა, იმ მიზეზით, რომ უცხო ადამიანს გაუჭირდება გაუმასპინძლდეს ტურისტს ხევსურული ტრადიციებისა და ადათ-წესების მიხედვით.



მოსახლეობასთან შეხვედრის შედეგად, დაინტერესებული მხარეებისგან გამოიკვეთა ძირითადი რეკომენდაციები:

- მაქსიმალურად შეირჩეს და დაიგეგმოს არამაშტაბური პროექტები. პრიორიტეტი მიენიჭოს დაცული ტერიტორიების კონსერვაციას და მის ფარგლებში ეკოტურისტულ განვითარებას;
- დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებული მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვა და სარგებლიანობის გაზრდა;
- ხაზგასმულ იქნა არაცნობადი და ნაკლებად პოპულარული სანახაობების პოპულარიზაციის საჭიროება.

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის გენერალური გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 3.3.1.

ცხრილი 3.3.1. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია

N	თარიღი	აქტივობა
1.	05.10.2022	2022 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა დაიტერესებულ მხარეებთან, ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის გენერალური გეგმის

		პროექტის შემუშავების პროცესისა და სამოქმედო გეგმის განსახილველად.
2.	9.10.2022	2022 წლის 9 ოქტომბერს საპროექტო ჯგუფი ესტუმრა ადმინისტრაციის ცენტრს და გაიმართა გაცნობითი შეხვედრა დაცული ტერიტორიების ხელმძღვანელობასთან.
3.	15.10.2022	2022 წლის 15 ოქტომბერს საპროექტო ჯგუფი ეწვია ადმინისტრაციის ცენტრს შატილში და სამუშაო შეხვედრა გამართა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან.
4.	15.10.2023	2022 წლის 15 ოტომბერს საპროექტო ჯგუფმა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორების თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები - შატილი - მუცო - არდოტის მიმართულებით.
5.	15.10.2023	2022 წლის 15 ოქტომბერს გამოიკითხა ადგილობრივები, მათ შორის ტურიზმის სექტორში ჩართული მოსახლეობა. გაიმართა შეხვედრა სოფ. გიორგიწმინდის რწმუნებულთან, მათი საჭიროებების და მოსაზრებების დადგენის მიზნით.
6.	16.10.2022	2022 წლის 16 ოქტომბერს საპროექტო ჯგუფმა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორების თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები - როშკა - არხოტის მიმართულებით.
7.	16.10.2023	2022 წლის 16 ოქტომბერს საპროექტო ჯგუფმა გამოკითხა ადგილობრივები, მათ შორის სოფელ ამღას მოსახლეობა, მათი საჭიროებების დადგენის და მოსაზრებების მოსმენის მიზნით.
8.	19.10.2022	2022 წლის 19 ოქტომბერს საპროექტო ჯგუფმა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორების თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა პოტენციური ლოკაციები ფშავის მიმართულებით.

4 სარეკომენდაციო ნაწილი - პერსპექტიული (საპროექტო) ეკოტურისტული ლოკაციები

4.1 საპროექტო არეალის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია

წინამდებარე დოკუმენტის მომზადების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ეკოტურისტული თვალსაზრისით საინვესტიციოდ მიმზიდველი ლოკაციების (სამიზნე ტერიტორიების) იდენტიფიცირება, მათი განვითარების კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, ასევე საბაზისო (კომპლექსური) ტურისტულ-რეკრეაციული და ამავე დროს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფციის შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული ლოკაციების ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ადაპტირებული იყოს შშმ პირებზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შშმ პირების კომფორტული გადაადგილება ყველა ზონაში და აქ გათვალისწინებულ სერვისებზე წვდომა მნიშვნელოვანი სირთულეების გარეშე.

პერსპექტიული (საპროექტო) ლოკაციების მონიშვნა განხორციელდა წინასწარ, საოფისე სამუშაოების პროცესში, დაინტერესებულ მხარეებთან (მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები და სხვა) კომუნიკაციის საფუძველზე. შემდგომში, საველე სამუშაოების საფუძველზე მოხდა აღნიშნული ტერიტორიების პერსპექტიულობის შეფასება, სხვადასხვა გარემო ფაქტორების გათვალისწინებით.

4.2 შეთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოტურიზმის განვითარების მიზნით საინვესტიციოდ ხელსაყრელი ტერიტორიების მოძიება მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის მთავარი მიზეზია რთული რელიეფურ-გეოლოგიური პირობები და სივრცითი დაგეგმარებისთვის აუცილებელი ფართობის მქონე მიწის რესურსების სიმცირე. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებად ჩაითვალა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკური პირობები, გარემოსდაცვითი და კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების რისკები, არსებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან და ღირშესანიშნაობებთან ხელსაყრელი განლაგება და ა.შ.

სამიზნე ტერიტორიების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმების აღწერა მოცემულია ცხრილში 4.2.1. ხაზგასასმელია, რომ ცხრილში მოცემული კრიტერიუმები წარმოდგენილია ზოგადი შეფასების და საველე დაზვერვითი სამუშაოების საფუძველზე.

ცხრილი 4.2.1. სამიზნე ტერიტორიების შერჩევის კრიტერიუმები

კრიტერიუმი	კრიტერიუმის დახასიათება
სამიზნე ტერიტორიის ადგილმდებარეობა და განლაგება:	• ლოკაცია, რომელიც მოქცეულია დაცული ტერიტორიების საზღვრებში, თუმცა არ მოიცავს მკაცრი დაცვის ზონას; • ლოკაცია, რომელიც განლაგებულია დაცული ტერიტორიების შეძლებისდაგვარად ცენტრალურ ნაწილში და საიდანაც მეტ-ნაკლებად თანაბრად არის ხელმისაწვდომი პერიფერიულ ნაწილებში არსებული ტურისტული ღირშესანიშნაობები; • არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურასთან, არსებულ და პოტენციურ ბილიკებთან ხელსაყრელი განლაგება; • არსებულ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ხელსაყრელი განლაგება; • მომიჯნავე სხვა რეკრეაციულ და საკურორტო ადგილებთან ხელსაყრელი განლაგება;


	• წყლის რესურსებზე და ელექტროენერგიაზე მეტ-ნაკლები ხელმისაწვდომობა; • დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება.
რელიეფი და ფართობი	• საჭირო ფართობი სივრცითი განვითარებისთვის; • მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი რელიეფი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მინიმალური სირთულეები მშენებლობასთან დაკავშირებით;
ბუნებრივი გარემოს სპეციფიკა	• მეტ-ნაკლებად მდგრადი საინჟინრო-გეოლოგიური პირობები. მეწყრული, ეროზიული, ღვარცოფული პროცესების გათვალისწინება; • მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები; • შეძლებისდაგვარად მინიმალური ჩარევა ადგილობრივ გეოლოგიაში. პერსპექტივაში სივრცითი განვითარების შედეგად გეოლოგიურ გარემოზე ნაკლები ზემოქმედება.
ეკოლოგია და გარემოსდაცვითი რისკები	• მინიმალური ჩარევა ადგილობრივ ეკოსისტემაში, მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ჰაბიტატების და განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებული გარეულ ცხოველთა საბინადრო ადგილების მაქსიმალური შენარჩუნება; • აუცილებელი ბუნებრივი რესურსების სიახლოვე და ამასთან ერთად ბუნებრივი რესურსების გამოყენების მინიმალური საჭიროება; • დამატებითი ინფრასტრუქტურის (მაგ. მისასვლელი გზები და ა.შ.) განვითარების ნაკლები საჭიროება; • ხანძრების განვითარების ნაკლები რისკები; • ხელსაყრელი გარემოება ნარჩენების მდგრადი მართვის თვალსაზრისით; • ხელსაყრელი პირობები წყალმომარაგება-წყალარინების მხრივ და ა.შ.
ადგილობრივი თემები	• მინიმალური გავლენა კერძო საკუთრებაზე და გარეშე ინვესტორების მინიმალური კონკურენცია ადგილობრივ თემებთან; • დასახლებულ პუნქტებთან ხელსაყრელი განლაგება და მომიჯნავედ მაცხოვრებელი ადგილობრივებისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღების (საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია, კვების და მცირე ზომის სასტუმროების განვითარება და ა.შ.) თანაბარი შესაძლებლობა; • ინფრასტრუქტურული განვითარების ისეთი შესაძლებლობა, რომელიც მაქსიმალურად შეხამებული იქნება რეგიონის ისტორიულ-კულტურულ სპეციფიკურობასთან და ტრადიციებთან.
საინვესტიციო მიმზიდველობა	• მრავალფეროვანი ეკოტურისტული სერვისების განვითარების შესაძლებლობა; • ინტერესთა მინიმალური კონფლიქტი კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის; • ადამიანურ და სხვა სახის რესურსებზე ხელმისაწვდომობა; • ტურისტულად აქტიური სეზონის მაქსიმალური ხანგრძლივობა.

ცხრილში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად და საოფისე სამუშაოების საფუძველზე პერსპექტიული ტერიტორიების გამოვლენისთვის შესწავლილი იქნა შუაფხო-უკანაფშავის; დათვიჯვარი-შატილი-მუცო-არდოტის და როშკა-ამღას (არხოტის) მიმართულებები. გამოვლენილი იქნა ოთხი ალტერნატიული ტერიტორია:

- ალტერნატივა 1 – „როშკის ბუნების ძეგლის ლოკაცია“;
- ალტერნატივა 2 – „ჭინჭარაულების ციხის მიმდებარე ტერიტორია“;
- ალტერნატივა 3 – „სოფ. ჭიჩოს მიმდებარე ტერიტორია“;
- ალტერნატივა 4 – „შატილის ლოკაცია“.

შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების ადგილმდებარეობები ნაჩვენებია ნახაზზე 4.2.1.

ნახაზი 4.2.1. შემოთავაზებული ეკოტურისტული ლოკაციების განლაგება



4.2.1 ალტერნატივა 1 – „როშკის ბუნების ძეგლის ლოკაცია“

4.2.1.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: დუშეთის მუნიციპალიტეტი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 489982; Y – 4711168; Z – 2040-2400.

ლოკაცია მდებარეობს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის სამხრეთ-დასავლეთით და მოიცავს მდ. აბუდელაურის ორივე ნაპირს. აბუდელაურის ფერადი ტბები მდებარეობს

ლოკაციის დასავლეთით, 2,5-4,0 კმ მანძილის დაშორებით. ჩრდილო-დასავლეთით იშლება მწვერვალ როშკახორხის ულამაზესი ხედები. ახლომდებარე დასახლებული პუნქტია სოფ. როშკა, რომელიც მას ემიჯნება აღმოსავლეთით. ქ. თბილისიდან დაშორებულია 120 კმ მანძილით, ხოლო ქ. დუშეთიდან - 75 კმ მანძილით.



ლოკაცია მოიცავს როშკის ბუნების ძეგლის პრაქტიკულად მთლიან პერიმეტრს და შესაბამისად ფართობი დაახლოებით შეადგენს 107 ჰექტარს. თუმცა რელიეფური პირობების და აქ წარმოდგენილი „ერატიული“ („მოხეტიალე“) ლოდნარის გათვალისწინებით, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია პერიფერიულ და ლოკალურ უბნებში (არსებული უნიკალური გეოლოგიური გარემოს შენარჩუნების პირობით).

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: წარმოდგენილია ტიპიური მაღალმთის რელიეფი, სადაც აქტიურია დენუდაციური პროცესები. რელიეფის და გეოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პლეისტოცენურ მყინვარულ პროცესებს. ჩრდილოეთის მხრიდან ტერიტორიას ესაზღვრება მდ. როშკისწყლის ხეობა, ხოლო სამხრეთით - მცირე ზომის ხევებით დასერილი და ნაწილობრივ გატყიანებული საშუალო დახრილობის მქონე ფერდობი. აქტიური მეწყრული უბნები არ არის წარმოდგენილი, თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებიდან აღსანიშნავია ნივაციურ-ეგზარაციული და გამოფიტვის პროცესები. გასათვალისწინებელია ღვარცოფული მოვლენები და ზვავწარმოქმნის ალბათობა.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: შემოთავაზებული ლოკაცია მდებარეობს მაღალი მთის ლანდშაფტის ფარგლებში, სადაც წარმოდგენილია სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების მონაცვლეობა. ზოგადი კვლევის საფუძველზე ტერიტორიაზე და მიმდებარე არეალში დომუნანტური ადგილი უჭირავს მდელოს ტიპის (ჭრელწივანიანი მდელო) ჰაბიტატს, ძირითადად E1.2 (მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე). მდ. აბუდელაურის და როშკისწყლის სანაპიროებზე განვითარებულია მდინარისეული ბუჩქნარი (F9.1). აქვე მოზაიკურად გავრცელებულია D4.2 ტიპის ჰაბიტატი (მაღალმთის ფუძე წყალსატევთა და მდინარეთა ნაპირები მდიდარი არქტიკულ-ალპური ფლორით).

ფერდობები დაფარულია დეკით (*Rhododendron caucasicum),* მოცვით (*Vaccinium spp)* და მაღალმთის სხვა მცენარულობით. მდინარეთა სანაპიროს სიახლოვეს წარმოდგენილია შემდეგი ბალახოვანი სახეობები: ქოთანა (*Silene spp),* გვირილა (*Leucanthemum vulgare, Ligularia subsagittata)* და სხვ. ცალკე გამოსაყოფია ტერიტორიის სამხრეთით არსებული ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობი, სადაც განვითარებულია მეჩხერი ტყის ჰაბიტატი. ხე-მცენარეებში წამყვანი ადგილი უჭირავს შემდეგ სახეობებს: არყი (*Betula litwinowii),* ცირცელი (*Sorbus aucuparia)* და მდგნალი (*Salix caprea*, *Rhododendron caucasicum).* გვხვდება ღვიები *(Juniperus spp.),* მოცვი *(Vaccinium spp.).*



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიის დათვალიერების შედეგად ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან მათი მუდმივი საბინადრო ადგილები არ დაფიქსირებულა. თუმცა აქ წარმოდგენილი ჰაბიტატები მიმზიდველია აღნიშნული ზონისთვის დამახასიათებელი სახვადასხვა სახეობის ცხოველქმედებისთვის. მიგრაციის დროს აქ შეიძლება მოხვდეს როგორც მსხვილი ძუძუმწოვრები (დათვი, მგელი და სხვა), ასევე სხვადასხვა სახეობის მტაცებელი ფრინველი. ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხელფრთიანების კოლონიების არსებობისთვის ხელსაყრელი ადგილები (გამოქვაბულები და სხვა) არ დაგვიფიქსირებია. მდინარეები აბუდელაური და როშკისწყალი წელიწადის უმეტეს პერიოდში მცირე ჩამონადენით ხასიათდება. ახასიათებს ჩქერები, ნაკადის დიდი სიჩქარე და დაბალი ტემპერატურა. შესაბამისად ამ მდინარეებში შეიძლება შემოვიდეს ამ ზონისთვის დამახასიათებელი ერთადერთი სახეობა - მდინარის კალმახი, თუმცა განსაკუთრებულ ჰაბიტატს არ წარმოადგენს.

არსებული კომუნიკაციები: ტერიტორიამდე მიდის საავტომობილო გზა, რომელიც მთლიან სიგრძეზე მიუყვება მას. სოფ. როშკის სიახლოვის მიუხედავად საჭირო კომუნიკაციების ქსელი სუსტად არის განვითარებული. ახლო არეალში არ არსებობს ელექტრომომარაგების და წყალმომარაგების სათანადო ქსელი. ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ელექტროენერგიით მომარაგების ალტერნატიულ წყაროებზე (მზის პანელები ან ქარის მცირე ელექტროსადგური). წყალმომარაგება უნდა მოხდეს ზედა ნიშნულებზე არსებული მცირე ზომის წყაროების დაკაპტაჟების გზით, ხოლო წყალარინების და გაწმენდის სისტემა უნდა მოხდეს კომპაქტური გამწმენდი ნაგებობების ან საასენიზაციო ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

ტურისტული ფონი: ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებულ სხვა ტერიტორიებთან შედარებით შერჩეული ლოკაცია და მიმდებარედ არსებული საინტერესო ადგილები გამოსარჩევია ტურისტული ცნობადობის თვალსაზრისით. ტერიტორიასთან ან მის სიახლოვეს გადის ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიის პოპულარული ტურისტული მარშრუტები, მათ შორის: არხოტის ხეობის, შატილის და უკანაფშავის მიმართულებით. ვიზიტორებისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს ლოკაციის დასავლეთით, დაახლოებით 3,0-4,0 კმ მანძილის დაშორებით არსებული აბუდელაურის ტბები წარმოადგენს. ლოკაციაზე საკუთრივ როშკის ბუნების ძეგლის არსებობა, ტურისტების მოზიდვის დამატებით შესაძლებლობას ქმნის. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო ლოკაცია მიმზიდველია ლაშქრობის და ექსტრემის მოყვარული ვიზიტორებისთვის.

4.2.1.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის მთავარი ეკოტურისტული ღირებულებაა მისი ადგილმდებარეობა. მისი განლაგება ხელსაყრელია საბაზისო ტურისტული ცენტრის განვითარებისთვის, საიდანაც მეტ-ნაკლებად თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული და პერსპექტიული ეკოტურისტული სერვისები. აღსანიშნავია ლოკაციის და მიმდებარე არეალის მაღალი ცნობადობა ლაშქრობის და ექსტრემის მოყვარულ ვიზიტორებში. ტერიტორიის ფართობი და რელიეფი საშუალებას იძლევა შემოთავაზებული იქნეს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მრავალი ალტერნატივა. ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების მიხედვით მინიმალურია კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა.

ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხებია:

- მგრძნობიარე საინჟინრო-გეოლოგიური გარემო. საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების თვალსაზრისით კომპლექსური დამცავი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. მათ შორის ზვავის რისკების გათვალისწინება;
- მგრძნობიარე ბიომრავალფეროვნება და ამ მხრივ კომპლექსური შერბილების ღონისძიებების გატარების საჭიროება;
- როშკის ბუნების ძეგლის არსებობის გამო შეზღუდვა სივრცითი განვითარების და არქიტექტურული გადაწყვეტების თვალსაზრისით;
- ტერიტორია მდებარეობს მაღალი მთის ზონაში. შესაბამისად გასათვალისწინებელია რთული კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები. ეს გარემოება თავის მხრივ ზღუდავს ტურისტული სეზონის ხანგრძლივობას;
- გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება კომუნიკაციების განვითარება. შესაბამისად აქცენტი უნდა გაკეთდეს ელექტრომომარაგების ალტერნატიულ წყაროებზე.

4.2.1.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე არსებული სივრცე მრავალმხრივი საინვესტიციო განვითარების საშუალებას იძლევა. ლოკაცია მიმზიდველი ადგილია, როგორც სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად, ასევე მის სიახლოვეს არსებული სხვადასხვა ეკოტურისტული სერვისების და ბილიკების თვალსაზრისით. ტერიტორიის ფარგლებში, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 4 ძირითადი ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია იხილეთ რუკაზე):

- ადმინისტრაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1,7 ჰა;
- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 17,6 ჰა;
- სატრანსპორტო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 0,6 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 87,2 ჰა.

<u>ადმინისტრაციული ზონა</u> - ტერიტორიის დაახლოებით 1,6%, რომელიც მდებარეობს ტერიტორიის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, საავტომობილო გზის სიახლოვეს. აღნიშნულ ზონაში გათვალისწინებულია:

- ვიზიტორთა ცენტრი;
- რეინჯერების ქოხი;
- საინფორმაციო სივრცე.

<u>სამშენებლო ზონა</u> - ვრცელდება ტერიტორიის დაახლოებით 16%-ზე და გამოიყო 2 დამოუკიდებელი ტერიტორია. შედრებით მცირე ფართობის სამშენებლო ზონაში, რომელიც

გამოყოფილია ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შესაძლებელია განვიტარდეს მოზრდილი ტიპის სასტუმრო და კვების ობიექტი. ხოლო სამხრეთით, ლოკაციის მთლიან სიგრძეზე გამოყოფილ სამშენებლო ზონაში შესაძლებელია მოეწყოს მცირე ზომის კოტეჯების (ე.წ. „Rocklodges" -ის ტიპის) ინფრასტრუქტურა. გარდა ამსია, სამშენებლო ზონაში შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.).


<u>სატრანსპორტო ზონა</u> - სატრანსპორტო ზონა შეადგენს ტერიტორიის მთლიანი ფართის დაახლოებით 0,6 %-ს და შეირჩა ძირითადად არსებული მისასვლელი გზის გათვალისწინებით. აღნიშნული ზონის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მოეწყოს საპარკინგე სივრცეები.


<u>რეკრეაციული ზონა</u> - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 81%. რეკრეაციული სივრცის განვითარება ძირითადად გულისხმობს შემდეგი ობიექტების განთავსებას:

- საკემპინგე სივრცეები;
- საბავშვო გასართობი სივრცეები;
- შიდა ბილიკები;
- ე.წ. ზიპ-ლაინი და სხვა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.1.3.1.

ნახაზი 4.2.1.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია





4.2.1.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

როშკის ბუნების ძეგლის ეკოტურისტულ ლოკაციასთან დაკავშირებული, შემოთავაზებული ტურისტული მარშრუტებია:

1. როშკა-არხოტის ხეობა-ტანიეს ტბის ტურისტული მარშრუტი;
2. როშკა-აბუდელაური-ჯუთას ტურისტული მარშრუტი;
3. როშკა-შატილი-მუცო-არდოტის ტურისტული მარშრუტი;
4. როშკა-შუაფხო-უკანაფშავის ტურისტული მარშრუტი.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული მიმართულებები უნდა დაეფუძნოს ეკო-ტურიზმის აქტივობებსა და ადგილობრივ ტურისტულ სერვისებს. ჩამოთვლილ მიმართულებებს გააჩნია განსხვავებული დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები.

<u>1. როშკა-არხოტის ხეობა-ტანიეს ტბის ტურისტული მარშრუტი:</u>

წრიული ტურისტული მარშრუტის საერთო სიგრძე 60 კმ-მდეა. სირთულე - საშუალო და რთული. შესაძლებელია სამანქანო (ნაწილობრივ), საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა. საბაზისო პუნქტიდან (როშკის პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაცია) მარშრუტი ადის არხოტისთავის უღელტეხილზე, გადის ჯერ მდ. ასას, ხოლო შემდგომ მდ. ტანიესწყლის ხეობას. ადის ტანიეს უღელტეხილზე და მიუყვება მის თხემურ ნაწილს.

ტურისტულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირსშესანიშნაობი შეიძლება იყოს:

საბაზისო პუნქტიდან 5 კმ მანძილის დაშორებით, არხოტისთავის უღელტეხილის დასავლეთ ფერდობზე შემოთავაზებულია პარაპლანის სადგურის მოწყობა. სადგურიდან დაშვება შესაძლებელია მდ. როშკისწყლის მარცხენა შენაკადის ხეობაში, ხოლო დაშვების ადგილი შეიძლება იყოს როშკის ტურისტული კომპლექსი. შესაძლებელია სატრანსპორტო სერვისის (საავტომობილო ან საცხენოსნო) განვითარება.

საბაზისო პუნქტიდან დაახლოებით 9 კმ მანძილის დაშორებით, არხოტისთავის უღელტეხილის კანიონის სიახლოვეს შესაძლებელია საკემპინგე და საპიკნიკე ადგილების განვითარება. ასევე შესაძლებელია განხილული იყოს სახიდე გადასასვლელების კომპლექსის და გადასახედი ტერასების მოწყობა.

აღნიშნულ მარშრუტზე ალპინისტური სერვისის განვითარება შესაძლებელია კიდეგანის ქედის სამხრეთ ფერზე, მთის ძირში, სოფ. ჭიმღას დასავლეთით. შესაძლებელია მცირე ზომის საკემპინგე ადგილის მოწყობა ალპინისტებისთვის. შესაძლებელია ბაზრისთვის მისაღები სატრანსპორტო სერვისის (ძირითადად საცხენოსნო) განვითარება.

ამ მარშრუტზე ვიზიტორთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს სოფ. ახიელი და მიმდებარედ არსებული კულტურული მეკვიდრეობის და არქეოლოგიური ობიექტები: ციხიუბნის სამაროვანი, ხარათ ციხე (ცისკარაულების კოშკი), მთავარანგელოზის კოშკი ("მთიჯვარის კოშკები"). ასევე უნდა აღინიშნოს სოფ. ამღა და მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური ობიექტები: ციხე-კოშკები, ორბეულთის ეკლესია, სვეტისანგელოზის ჯვარი და სხვა. ამ ადგილებში შესაძლებელია ადგილობრივი პროდუქტის გაყიდვის და მცირე საოჯახო სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა.

საბაზისო ლოკაციიდან დაახლოებით 18 კმ მანძლის დაშორებით შესაძლებელია განვითარდეს ველურ ბუნებაზე დაკვირვების პუნქტი (ჯიხვებზე დაკვირვება). ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ამ ლოკაციაზე ხშირია ჯიხვების არვეს გამოჩენა. პერსპექტიული შეიძლება იყოს ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებში გიდების მომსახურების და სხვადასხვა აღჭურვილობის (ბინოკლები და სხვა) გაქირავების სერვისის განვითარება.

ამის შემდგომ, ტანიეს ტბის სიახლოვეს და ტანიეს უღელტეხილზე, რამდენიმე ლოკაციაზე შესაძლებელია საკემპინგე და საპიკნიკე ადგილების განვითარება. აღსანიშნავია, რომ აქვე, ტანიეს მესაზღვრეების ბანაკის მიმდებარედ ზღვის დონიდან 2000 მ და 3000 მ სიმაღლეებზე განიხილება თავშესაფრების (ტანიეს ქვედა და ტანიეს ზედა ალპური ქოხების) მოწყობა.

2. როშკა-აბუდელაური-ჯუთას ტურისტული მარშრუტი:

ტურისტული მარშრუტის საერთო სიგრძე დაახლოებით 22 კმ-ია. სირთულე - საშუალო. შესაძლებელია საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა. საბაზისო პუნქტიდან (როშკის პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაცია) მარშრუტი გადის მდ. აბუდელაურის ხეობაში, აბუდელაურის ტბებამდე. შემდგომ მარშრუტი მიუყვება ჭაუხის კლდოვანი მასივის თხემურ ნაწილს, ჩადის მდ. ჯუთას მარცხენა შენაკადის ხეობაში და სრულდება სოფ. ჯუთასთან. აღსანიშნავია, რომ ჯუთამდე შესაძლებელია ალტერნატიული მარშრუტის შეთავაზება მდინარეების ასას და ჯუთას ხეობების გავლით. ამ ალტერნატიულ მარშრუტზე განიხილება თავშესაფრის (არხოტის თავის ალპური ქოხის) მოწყობა.

ტურისტულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირსშესანიშნაობი/ეკოტურისტული სერვისები შეიძლება იყოს:

საბაზისო პუნქტიდან 7 კმ მანძილის დაშორებით, მდინარე აბუდელაურის სათავესთან განსაკუთრებულ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს აბუდელაურის ფერადი ტბები. აქ წარმოდგენილია სამი ტბა - მწვანე ტბა, ლურჯი ტბა და თეთრი ტბა. მწვანე და ლურჯი ტბები თითქმის გვერდიგვერდ მდებარეობს, ხოლო თეთრი ტბა ცოტა მოშორებით, ჭაუხის მასივის ძირში მდებარეობს. შესაძლებელია საკემპინგე და საპიკნიკე ადგილების განვითარება ლურჯი ტბის მიმდებარედ. ტბების სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზ.დ. 2600 მ სიმაღლეზე განიხილება თავშესაფრის (აბუდელაურის ალპური ქოხის) მოწყობა. ვიზიტორთათვის ინტერესის სფეროა ჭაუხის უღელტეხილის პეიზაჟები.

აუცილებელია აღინიშნოს არსებული ეკოტურისტული ლოკაციები „ზეთა-კემპინგი“ და „მე-5 სეზონი“. ტურისტული კომპლექსი „ზეთა“ მდებარეობს ჭაუხის მასივის ძირში ზღვის დონიდან 2300 მ სიმაღლეზე. ორიენტირებულია სამთო ტურიზმის განვითარებაზე. ვიზიტორებისთვის შეთავაზებულია კარვებსა და კეთილმოწყობილ კოტეჯებში განთავსება, კაფისა და ბარის მომსახურება, საცხენოსო, საფეხმავლო, ალპინისტურ და ველო ტურები. ზეთა გაზაფხულზე (მარტი-მაისი) დამსვენებელს სათხილამურო ტურებს სთავაზობს. კომპლექსი მუშაობს სეზონურად (მარტი-ოქტომბერი). „მე-5 სეზონი“-ს მცირე ზომის სასტუმრო ობიექტი მდებარეობს ზ.დ. 2360 მ სიმაღლეზე. შესაძლებელია ზამთრის ტურიზმის განვითარება (თოვლზე სასიარულო ტურები).

აღნიშნულ მარშრუტზე ინტერესის საგანს წარმოადგენს საკუთრივ სოფ. ჯუთა, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი პროდუქტის გაყიდვის პუნქტებისა და მცირე საოჯახო სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა. სოფ. ჯუთას შემდგომ შესაძლებელია ვიზიტორებისთვის შეთავაზებული იყოს ყაზბეგის დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ღირშესანიშნაობები (აღწერილი იქნება დამოუკიდებელ დოკუმენტში).

3. როშკა-შატილი-მუცო-არდოტის ტურისტული მარშრუტი:

ტურისტული მარშრუტის საერთო სიგრძე 60 კმ-მდეა. სირთულე - საშუალო-რთული. ძირითადად სამანქანო, ასევე საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა. საბაზისო პუნქტიდან (როშკის პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაცია) მარშრუტი ჩამოდის მდ. როშკისწყლის ხეობის მარჯვენა ფერდობზე და უერთდება ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზას. მდ. ბისოს ხეობის გავლით მარშრუტი მიდის დათვიჯვრის უღელტეხილამდე, სადაც დაგეგმილია თავშესაფრის (დათვიჯვრის ალპური ქოხის) მოწყობა. დათვიჯვრის უღელტეხილის გადავლის შემდგომ მარშრუტი გრძელდება მდ. არღუნის ხეობაში, გაივლის სოფლებს ლებაისკარი, კისტანი და შედის შატილში. შატილის შემდგომ

შემოთავაზებული მარშრუტი გაივლის მდ. ანდაქისწყლის ხეობას და ჩადის მუცოში. მუცოდან არსებობს ორი პერსპექტიული მიმართულება - არდოტი და ხონისჭალა. სოფ. არდოტის შემდგომ მარშრუტი გადაივლის ხიდოტანის ქედს. აქვე, ზღვის დონიდან 2500 მ სიმაღლეზე, დაგეგმილია თავშესაფრის (ხიდოტანის ალპური ქოხის) მოწყობა. აღნიშნული პუნქტის შემდგომ, საფეხმავლო ბილიკის საშუალებით შესაძლებელია თუშეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

ტურისტულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირსშესანიშნაობი/ეკოტურისტული სერვისები შეიძლება იყოს:

საბაზისო პუნქტიდან 20,0-21,0 კმ მანძილის დაშორებით, დათვიჯვრის უღელტეხილზე შესაძლებელია საკემპინგე და საპიკნიკე ადგილების განვითარება. აღსანიშნავია, რომ მდინარე არღუნის სათავეებთან, ზ.დ. 2500 მ სიმაღლეზე, დათისჯვარი-ხახაბოს დამაკავშირებელი საზაფხულო საავტომობილო გზიდან 50 მ-ში დაგეგმილია თავშესაფრის (დათვიჯვრის ალპური ქოხი) მოწყობა.

მარშრუტზე ვიზიტორთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს სოფლები ლებაისკარი და კისტანი. აქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ციხე-კოშკები), არქეოლოგიური ობიექტები. აღსანიშნავია შუა საუკუნეების ლებაისკარის ქართული ხეროთმოძღვრების ძეგლი - თუშეთ-ხევსურეთში გავრცელებული საცხოვრებელი ციხე-სახლის ერთ-ერთი ნიმუში. კისტანის ციხე-სოფელი რთულ კლდოვან რელიეფზეა აშენებული. კომპლექსი 30-მდე ციხე-სახლისგან შედგება, რომლებსაც ერთდროულად საყოფაცხოვრებო და თავდაცვითი ფუნქციები ჰქონდა. ასევე გვხდება ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი - ციხეთგორის ჯვრის კომპლექსი.

აღნიშვნას საჭიროებს შატილი, აქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ადგილობრივი ტრადიციები. არსებობს მცირე საოჯახო სასტუმროები. აქვე მდებარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი. ამავე მარშრუტზე გვხვდება ანატორის აკლდამები, სადაც წარმოდგენილია შუა საუკუნეების რამდენიმე მიწისზედა და ნახევრად მიწისზედა აკლდამა.

საბაზისო პუნქტიდან დაახლოებით 55,0-57,0 კმ მანძლის დაშორებით მდებარეობს სოფლები მუცო და არდოთი. ვიზიტორთათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენს აქ არსებული ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიური ობიექტები. არსებობს მცირე ზომის სასტუმროები. შესაძლებელია ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვის ხელშეწყობა.

მარშრუტის ბოლო ეკოტურისტული სერვისები შეიძლება იყოს სოფ. ხონისჭალა. ადგილობრივების და რეინჯერების ინფორმაციით აღნიშნულ ლოკაციაზე ხშირად შეიმჩნევა სხვადასხვა სახეობის მტაცებელი ფრინველების კონცენტრაცია, რასთან დაკავშირებითაც შესაძლებელია ველურ ბუნებაზე დასაკვირვებელი პუნქტის მოწყობა.

მარშრუტის ლოგუკურ გაგრძელებას შეიძლება წარმოადგენდეს თუშეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული ბილიკები და მის ფარგლებში არსებული/დაგეგმილი სხვადასხვა ღირშესანიშნაობები (აღწერილი იქნება დამოუკიდებელ დოკუმენტში).

<u>4. როშკა-შუაფხო-უკანაფშავის ტურისტული მარშრუტი:</u>

ტურისტული მარშრუტის საერთო სიგრძე დაახლოებით 40 კმ-ია. სირთულე - საშუალო. შესაძლებელია სამანქანო, საცხენოსნო და საფეხმავლო ტურების მოწყობა. საბაზისო პუნქტიდან (როშკის პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაცია) მარშრუტი ჩამოდის მდ. როშკისწყლის ხეობის მარჯვენა ფერდობზე და უერთდება ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზას. აღნიშნული გზის საშუალებით მარშრუტი მიდის ხევსურეთის არაგვის და ფშავის არაგვის შესართავამდე. შემდგომ მარშრუტი შედის ფშავის არაგვის ხეობაში და გაივლის სოფლებს თხილიანა, შუაფხო, გოგოლაურთა, ჭიჩო, ხოშარა. მარშრუტი სრულდება სოფ. უკანაფშავში.

ტურისტულ მარშრუტზე არსებული და პერსპექტიული ღირსშესანიშნაობი/სერვისები შეიძლება იყოს სხვადასხვა ლოკაციაზე არსებული ნასოფლარები, არაგვის ხეობის პეიჟაზები, სოფ. უკანაფშავი და აქ არსებული კულტურული მეკვიდეობის ძეგლები. სოფლებში შუაფხოსა და უკანაფშავში ასევე არსებობს აგრო და გასტრონომიული ტურიზმის განვითარების პერსპექტივა.

4.2.1.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

როშკის ბუნების ძეგლის ალტერნატიულ ლოკაციაზე განვითარების კონცეფცია აქცენტრირებულია ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურაზე. განსაზღვრული არ არის მასშტაბური კომპლექსების მოწყობა, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების მომატებული საფრთხეებით ხასიათდება. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მსგავსი ობიექტების მოწყობა-ექსპლუატაციისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას არ ითვალისწინებს. მსგავსი საქმიანობები ძირითადად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებს ექვემდებარება.

თუმცა ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, მცირე ზომის სადგურების ან ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). აქვე, შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, უსაფრთხოების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სატრანსპორტო მართვის გეგმა. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.2 ალტერნატივა 2 - „ჭინჭარაულების ციხის მიმდებარე ტერიტორია“

4.2.2.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: დუშეთის მუნიციპალიტეტი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 506358; Y – 4710212; Z – 2120-2230.

მე-2 ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს პირიქითა ხევსურეთში, მდ. არღუნის ხეობაში (მდინარის მარჯვენა სანაპიროზე). ქ. თბილისიდან დაშორებულია 135 კმ მანძილით, ხოლო ქ. დუშეთიდან - 90 კმ მანძილით. შატილამდე მანძილი დაახლოებით 20 კმ-ია.

ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 7,0 ჰექტარს. თუმცა რელიეფური პირობების გათვალისწინებით ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია ტერასულად, მხოლოდ მცირე ნაწილზე.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: ლოკაცია წარმოადგენს დაახლოებით 25%-იანი დახრილობის ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობს. ტერიტორიაზე და მიმდებარე არეალში განვითარებულია მაღალმთიანი, მთა-ხეობის ტიპის მკვეთრი ფორმების მქონე, გენეტურად პლეისტოცენური გამყინვარების, თანამედროვე დენუდაციური (ქვათაცვენა, წყლის ნაკადების მიერ წარმოებული ეროზია) და სხვა სახის პროცესებით შექმნილი რელიეფი. ტერიტორიაზე ძველმყინვარული ნალექები ნაწილობრივ გადარეცხილია და ჩანაცვლებულია/გადაფარულია თანამედროვე პროლუვიური (თხემურ და ფერდობულ ნაწილებზე) და ალუვიური (მდინარისპირა ზოლი) ნალექებით. ტერიტორიის დასავლეთით გაედინება ღვარცოფული ხასიათის მდინარე არღუნი. ღვარცოფული მოვლენების გარდა თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებიდან გასათვალისწინებელია ეროზიული და გრავიტაციული პროცესები, მათ შორის ზვავწარმოქმნის ალბათობა.



ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: ტერიტორიის მთლიან პერიმეტრზე განვითარებულია მდელოს ტიპის ჰაბიტატი - E1.2 (მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე). ხე-მცენარეული და ბუჩქოვანი სახეობები წარმოდგენილი არ არის. მცენარეული საფარის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი სახეობები: *Veronica spp., Carex pendula, Veratrum lobelianum, Geum urbanum, Festuca drymeja, alchemilla dura, Silene lacera sims, Leucanthemum vulgare*. შესაძლებელია მცირე რაოდენობით წარმოდგენილი იყოს დეკა *(Rhododendron caucasicum).* წარსულში ჩატარებული კვლევებით ამ ზონაში (ნაშალ ფერდებებზე) გამოვლენილია თითისებური ფსევდოვეზიკარია (Pseudovesicaria digitata), რომელიც კავკასიის ენდემური მონოტიპური სახეობის მცენარეა. ტერიტორიის განაპირა ნაწილებში, მდ. არღუნის და მისი მარჯვენა შენაკადის სიახლოვე განაპირობებს ნიადაგის მაღალ ტენიანობას და შესაბამისად ლოკალურ ადგილებში გავრცელებულია ღოლო *(Rumex acetosella).*

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ტერიტორიაზე ცხოველთა მნიშვნელოვანი სახეობების კონცენტრაციის ან/და მუდმივი საბინადრო ადგილები არ ფიქსირდება. მეტწილად ტერიტორიაზე შეიძლება მოხვდეს რეგიონისთვის დამახასიათებელი მტაცებელი და ლეშიჭამია ფრინველები. ხელფრთიანებისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატები არ ფიქსირდება. მდ. არღუნი ხელსაყრელია ამ ზონისთვის დამახასიათებელი სახეობის - მდინარის კალმახის ბინადრობისთვის.

არსებული კომუნიკაციები: ტერიტორიის სიახლოვეს გადის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზა. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ შერჩეული ლოკაცია მდებარეობს მდინარის საპირისპირო ნაპირზე. შესაბამისად სატრანსპორტო გადაადგილების შესაძლებლობა შეზღუდულია და საჭირო იქნება სახიდე გადასასვლელის მოწყობა.სათანადო მისასვლელი გზის არარსებობა გარდა აუცილებელია აღინიშნოს საბაზისო კომუნიკაციების ქსელის (ელექტროენერგია, წყალმომარაგება, ინტერნეტი და სხვა) არარსებობა - დაშორებულია რამდენიმე ათეული კმ მანძილით. ლოკაციაზე ეკოტურისტული

ინფრასტრუქტურის მოწყობის გადაწყვეტილების შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება მნიშვნელოვანი ინვესტიციის საჭიროება კომუნიკაციების განვითარებისთვის.

ტურისტული ფონი: ალტერნატიული ლოკაციის ცნობადობის ხარისხი დაბალია და ამჟამად არ სარგებლობს მაღალი პოპულარობით.

4.2.2.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ალტერნატიული ეკოტურისტული ლოკაცია მდებარეობს შატილთან და მის შემოგარენში არსებულ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან შედარებით ახლო მანძილში. არსებული სივრცე მეტ-ნაკლებად ხელსაყრელია გარკვეული სახის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. დადებითი მხარეებიდან ასევე უნდა აღინიშნოს ნაკლებად მგრძნობიარე ბიოლოგიური გარემო.

თუმცა ალტერნატიული ლოკაცია ხასიათდება გაცილებით მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია დანაწევრებული რელიეფური პირობები, რაც ზღუდავს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის კონსტრუქციული და არქიტექტურული გადაწყვეტების ალტერნატივებს. ადგილმდებარეობას ნაკლები კავშირი გააჩნია ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების პერიფერიულ ნაწილებში (განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილი) არსებულ და დაგეგმილ ეკოტურისტულ სერვისებთან და კულტურული მეკვიდრეობის ძეგლებთან. მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს სატრანსპორტო გადაადგილება, რისთვისაც აუცილებელი იქნება შესაბამისი სახიდე ინფრასტრუქტურის განვითარება. სხვა მხრივ გასათვალისწინებელია:

- მგრძნობიარე საინჟინრო-გეოლოგიური გარემო (ზვავსაშიშროება, ქვათაცვენა, მეწყერი და სხვა). საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების თვალსაზრისით კომპლექსური დამცავი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა;
- გასათვალისწინებელია რთული კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები. ეს გარემოება თავის მხრივ ზღუდავს ტურისტული სეზონის ხანგრძლივობას;
- საბაზისო კომუნიკაციების ქსელის (ელექტროენერგია, ინტერნეტი და სხვა) განვითარების სირთულეები.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მსხვილი და საშუალო ბიზნესის მხრიდან ინვესტირების მაღალი ინტერესი არ არის პროგნოზირებული. ნაკლებია ადგილობრივებისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

4.2.2.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე არსებული საკმაოდ დანაწევრებული რელიეფი და მგრძნობიარე საინჟინრო-გეოლოგიური გარემო მნიშვნელოვნად ზღუდავს მრავალფეროვანი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობას. შესაბამისად კონცეპტუალურად გამოიყო მხოლოდ ერთი ზონა, სადაც განიხილება ტერასულად განვითარებული მცირე ზომის, სასტუმრო კოტეჯების (ე.წ. „Rocklodges" -ის ტიპის) მოწყობის შესაძლებლობა. კოტეჯებს ერთმანეთთან კავშირი ექნებათ შიდა ბილიკების საშუალებით. ასევე შესაძლებელია ე.წ. ზიპ-ლაინის და საკემპინგე სივრცეების გამოყოფა. ზოგადად ამ ლოკაციაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება საკმაოდ დეტალურ შეფასებას ექვემდებარება.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.2.3.1.

ნახაზი 4.2.2.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია



4.2.2.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ალერნატიულ ლოკაციას არ გააჩნია მჭიდრო კავშირი ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ და პერსპექტივაში დაგეგმილ ეკოტირუსტულ ბილიკებთან. თუმცა როგორც აღინიშნა ლოკაციის სიახლოვეს გადის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზა, რომლის საშუალებითაც არსებობს კავშირი შატილთან და მის სიახლოვეს არსებულ/დაგეგმილ ეკოტურისტულ სერვისებთან. შესაძლებელია სალაშქრო და ექსტრემალური, ასევე ცხენით გასეირნების ტურების შეთავაზება. არსებობს ერთდღიანი და რამდენიმედღიანი მოგზაურობის და მიზნობრივად მოწყობილ თავშესაფრებში (დათვიჯვრის, ტანიეს ზედა და ტანიეს ქვედა ალპური ქოხები) ღამის გათენების საშუალება.

4.2.2.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება შემოთავაზებული კონცეფციით არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას და შესაბამისად საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს დაექვემდებარება.

თუმცა ეკოტურისტული კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე - „არხოტი“ (უბნის კოდი GE0000002) მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). გმგ-ში საკვანძო საკითხს უნდა წარმოადგენდეს ბიომრავალფეროვნების მართვის და შესაბამისი შერბილების ღონისძიებების საკითხები. რეკომენდირებულია ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა მომზადდეს ცალკე დოკუმენტის სახით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზზშ-ს დოკუმენტთან. გარდა ამისა, რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.3 ალტერნატივა 3 - „სოფ. ჭიჩოს მიმდებარე ტერიტორია“

4.2.3.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: დუშეთის მუნიციპალიტეტი. კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 504320; Y – 4695673; Z – 1340-1400.


მე-3 ალტერნატიული ლოკაცია მდებარეობს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის სამხრეთ ნაწილში, მდ. ფშავის არაგვის ხეობაში (მის მარცხენა სანაპიროზე). ახლომდებარე სოფლებია ჭიჩო, მუქო, ხოშარა. სოფ. უკანაფშავი მდებარეობს ზემო დინებაში, დაახლოებით 7 კმ მანძილის დაშორებით. ტერიტორია ქ. დუშეთიდან დაშორებულია 70, ხოლო ქ. თბილისიდან 115 კმ მანძილით.



ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მიახლოებითი ფართობი შეადგენს დაახლოებით 3,3 ჰა-ს (ეს ფართობი მოქცეულია დაცული ტერიტორიის, კერძოდ ტრადიციული გამოყენების ზონის საზღვრებში). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მომიჯნავე მდინარისპირა ზოლი, რომელიც დაცული ტერიტორიის საზღვრებში არ შედის, ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას გარკვეული სახის დამხმარე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ასეთ შემთხვევაში, ეკოტურისტული განვითარებისთვის სასარგებლო ფართობი დაახლოებით 7,0 ჰა-ს შეადგენს. თუმცა საკმაოდ ხშირი ტყით დაფარულობა მსხვილი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია ნაწილობრივ ქართლის ქედის ჩრდილო-დასავლეთ განშტოების - უბისთავის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის ქვედა ზონას, ხოლო ნაწილობრივ - ფშავის არაგვის სანაპირო ზოლს მოიცავს. ეს ტერიტორია და მიმდებარე არეალი აგებულია ზედაიურული და ქვედაცარცული მერგელებით, კირქვებით და ქვიშაქვებით. მდინარისპირა ზოლი კი საკმაოდ მძლავრი მეოთხეული (ალუვიური) ნალექებით არის წარმოდგენილი. თანამედროვე გეოლოგიური პროცესებიდან უნდა აღინიშნოს მდ. ფშავის არაგვის ადიდება, გვერდითი ეროზია და ღვარცოფული მოვლენები. გრავიტაციული პროცესების რისკები ყველაზე ნაკლებია სხვა ალტერნატივებთან შედარებით, რისი მთავარი მიზეზია ხშირი მცენარეული საფარი.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: შერჩეული ტერიტორია, როგორც ფერდობული ნაწილი ასევე მდინარისპირა ზოლი შემოსილია ფოთლოვანი ტყით. ტყის ტიპის ჰაბიტატში შეიძლება გამოიყოს ორი ქვეტიპი: ფერდობზე განვითარებულ ტყეში დომინანტურია არყი (*Betula litwinowii)*, მთრთოლავი ვერხვი (*Populus tremula)*, მდგნალი (*Salix caprea*.), ხოლო მდინარისპირა ტყეში წამყვანი ადგილი უჭირავს მურყანს (*Alnus barbata)* და არყს (*Betula litwinowii).* ეს უკანასკნელი თავისი ფლორისტული მახასიათებლებიდან გამომდინარე შეიძლება მივუსადაგოთ G1.12 ტიპის ჰაბიტატს (ბორეო-ალპური ჭალის პარკული ტყეები). გარდა ამისა, მომიჯნავე ჰაბიტატის ტიპებია (მდინარის კალაპოტის მხარეს): C3.55 - მდინარეული კენჭნარი მეჩხერი მცენარეული საფარით; C3.62 - მდინარეული კენჭნარი მცენარეული საფარის გარეშე და E1.2 - მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა საფარი კირქვიანებზე და სტეპი ფუძე სუბსტრატებზე.



ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: ლანდშაფტური კუთვნილებიდან გამომდინარე ტერიტორიაზე შეიძლება შეგხვდეს რეგიონში გავრცელებული და ტყის ზონისთვის დამახასიათებელი სახეობები: დათვი, მელა, ტურა, ტყის კვერნა. ასევე წავი. რეგიონში გავრცელებული მტაცებელი ფრინველებისთვის ეს არეალი განსაკუთრებულად მიმზიდველი არ არის. სიმრავლით გამოირჩევიან ტყის მცირე ზომის ფრინველები. მდ. ფშავის არაგვი წარმოადგენს მდინარის კალმახის ჰაბიტატს.

არსებული კომუნიკაციები: ლოკაციის სიახლოვეს გადის საავტომობილო გზა, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, აუცილებლად საჭირო იქნება სახიდე გადასასვლელების მოწყობა, ვინაიდან ალტერნატიული ლოკაცია და საავტომობილო გზა მდ. არაგვის სხვადასხვა ნაპირზე მდებარეობს. ლოკაციის სიახლოვეს საბაზისო კომუნიკაციების ქსელი (ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, ინტერნეტი) ძალზედ სუსტად არის განვითარებული. უახლოესი წყაროები დაშორებულია რამდენიმე ათეული კმ მანძილით. აქდან გამომდინარე რეკომენდირებულია ელექტრომომარაგების ალტერნატიული წყაროების (მაგ. მზის პანელები) გამოყენება. წყალმომარაგების უზრუნველყოფისთვის სავარაუდოდ საჭირო იქნება მდ. არაგვის მცირე ზომის შენაკადების დაკაპტაჟება.

ტურისტული ფონი: ალტერნატიული ლოკაციის მიმდებარე არეალი და ზოგადად მდ. ფშავის არაგვის ხეობის ეს ნაწილი მიმზიდველია ვიზიტორებისთვის, რომელთა ინტერესის საგანს ადგილობრივი ტრადიციები, სათავგადასავლო და ექსტრემალური ტურიზმი წარმოადგენს. თუმცა ცნობადობის მხრივ განსაკუთრებით არ გამოირჩევა.

4.2.3.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ტერიტორია მდებარეობს შედარებით დაბალ ნიშნულებზე და შესაბამისად კლიმატური პირობები ნაკლებად მკაცრია. ეს გარემოება ხელსაყრელია ტურისტულად აქტიური სეზონის მაქსიმალური ხანგრძლივობის მხრივ. ზოგადი შეფასებით საინჟინრო-გეოლოგიური გარემო სტაბილურია და მცირე ზომის ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვან სირთულეებს არ უკავშირდება.

მეორე მხრივ ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შემზღუდავ ფაქტორებად უნდა დასახელდეს:

- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დასავლეთ ნაწილში არსებულ პერსპექტიულ ეკოტურისტულ სერვისებთან ნაკლებად ხელსაყრელი განლაგება და გადაადგილების რთული შესაძლებლობა;

- შეზღუდული სივრცე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, როგორც რელიეფური პირობების, ასევე ხე-მცენარეული საფარის სიხშირის თვალსაზრისით;
- მგრძნობიარე ბიომრავალფეროვნება. ბიომრავალფეროვნების დაცვის კომპლექსური ღონისძიებების გატარების საჭიროება;
- სათანადო მისასვლელი გზის არარსებობა და სახიდე ინფრასტრუქტურის მოწყობის აუცილებლობა;
- საბაზისო კომუნიკაციების ქსელის (ელექტროენერგია, ინტერნეტი და სხვა) განვითარების სირთულეები;
- ადამიანურ და სხვა სახის რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
- ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა კერძო ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის;
- ნაკლები ინტერესი მსხვილი და საშუალო ბიზნესის მხრიდან;
- ადგილობრივებისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღების ნაკლები შესაძლებლობა.

4.2.3.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საჭირო ფართობი შეზღუდულია. ამის მიზეზია რელიეფი და ტყით დაფარულობა. გარდა ამისა, მიმდებარე სანაპირო ზოლი არ შედის დაცული ტერიტორიის საზღვრებში და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოიყენება სათიბ-საძოვრად.

კონცეფტუალურად შერჩეულ ლოკაციაზე გამოიყო 2 ზონა (ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია რუკაზე იხილეთ ქვემოთ):

- სამშენებლო ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1,4 ჰა;
- რეკრეაციული ზონა, მიახლოებითი ფართობით: 1,9 ჰა .

სამშენებლო ზონა - ტერიტორიის დაახლოებით 44%, რომელიც გამოიყო ლოკაციის დასავლეთ ნაწილში. აღნიშნულ ლოკაციაზე შესაძლო ინფრასტრუქტურა და ეკოტურისტული სერვისებია:

- გატყიანებულ ფერდობზე შეფენილი მცირე ზომის სასტუმრო კოტეჯები;
- ვიზიტორთა ცენტი/ადმინისტრაცია;
- ადგილობრივი მოსახელობისათვის კომერციული სივრცეები;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.);
- და სხვა.


რეკრეაციული ზონა - შერჩეული ლოკაციის დაახლოებით 56%, რომლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ნაკლებად ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ არსებული ადგილები, როგორიც არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის ძირითადი ნაწილი გამოყოფილია სარეკრიაციო საქმიანობებისთვის, რაც ძირითადად გულისხმობს:

- საკემპინგე სივრცეები;
- თოკების პარკი;
- საბავშვო გასართობი სივრცეების მოწყობა;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.);
- საპიკნიკე ტერიტორია და სხვა.

როგორც აღინიშნა, ლოკაციის მიმდებარე სანაპირო ზოლიც, რომელიც არ შედის დაცული ტერიტორიების საზღვრებში შესაძლებელია ათვისებული იყოს ეკოტურისტული ინფრასტრუქტურისთვის. ამ ნაწილზე შეიძლება მოეწყოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (საპარკინგე ადგილები). ასევე ამ ზოლში შესაძლებელია განვითარდეს მცირე ინფრასტრუქტურა სამოტყვარული თევზჭერისთვის.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.3.3.1.

ნახაზი 4.2.3.3.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია



4.2.3.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაცია ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის საშალებით დაკავშირებულია შატილთან და მის მიმდებარედ არსებულ ეკოტურისტულ ბილიკებთან. ლოკაციის სიახლოვეს არსებული და პერსპექტიული ღირსშესანიშნაობი/სერვისები შეიძლება იყოს ნასოფლარები, არაგვის ხეობის პეიჟაზები, სოფ. უკანაფშავი და აქ არსებული კულტურული მეკვიდეობის ძეგლები. სოფლებში შუაფხოსა და უკანაფშავში ასევე არსებობს აგრო და გასტრონომიული ტურიზმის განვითარების პერსპექტივა. შესაძლებელია სალაშქრო და ექსტრემალური, ასევე ცხენით გასეირნების ტურების შეთავაზება.

4.2.3.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე უბანზე - „არხოტი“ (უბნის კოდი GE0000002) მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

4.2.4 ალტერნატივა 4 - „შატილის ლოკაცია“

4.2.4.1 ადგილმდებარეობის აღწერა

ადგილმდებარეობა და ფართობი: კოორდინატები (UTM WGS-84. Zone - T38): X – 512667; Y – 4722674; Z – 1410-1420.

შატილის პერსპექტიული ეკოტურისტული ლოკაცია მდებარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ცენტრალურ ნაწილში, სოფ. შატილში. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მიახლოებითი ფართობი შეადგენს 0,4 ჰა-ს. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ცალკე რეგისტრირებულია და სარგებლობის უფლებით გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის.

რელიეფი და გეოლოგიური პირობები: რელიეფი მაღალმთიანი, მთა-ხეობის ტიპისაა. პირველადი ტექტომორფული რელიეფი აქ მნიშვნელოვანწილად გარდაქმნილია თანამედროვე ეროზიული, გრავიტაციული პროცესებით და კონკრეტულად სოფ. შატილში - ნაწილონრივ ანთროპოგენური მოქმედებით. აგებულია თიხაფიქლებით, რომლებიც გადაფარულია ფერდობული თიხოვანი ელუვიურ - დელუვიური ნალექებით. ისეთი საშიში გეოდინამიკური პროცესები როგორებიცაა: მეწყერი, ქვათაცვენა, ღვარცოფი, ხაზობრივი ეროზია, არ არის განვითარებული.

ჰაბიტატები და მცენარეული საფარი: სხვა ალტერნატიულ ვარიანტებთან შედარებით ტერიტორიაზე ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხი საკმაოდ მაღალია. წარმოდგენილი არ არის ხე-მცენარეული საფარი. ამ არეალში ბალახოვანი სახეობებიდან გაბატონებულია: დეკა *Rhododendron caucasicum,* ასევე *alchemilla dura, eratrum lobelianum.* მდინარის სანაპირო ზოლში ტიპიური სახეობრივი შემადგენლობაა: ფურისულა *Primula luteola,* ისლი *Carex acuta, Carex capillaris L., Carex huetiana Boiss.* და სხვ. განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებულის ახეობების შეხვედრილობის ალბათობა დაბალია.

ცხოველთა სახეობები და საბინადრო ადგილები: როგორც აღინიშნა ლოკაცია წარმოადგენს მაღალი ცნობადობის ტურისტულ ადგილს, სადაც ანთროპოგენური ზემოქმედებას ხარისხი საკმაოდ შესამჩნევია დანარჩენ ალტერნატივებთან შედარებით. შესაბამისად ამ არეალში მსხვილი ზომის გარეულ ცხოველთა მოხვედრის ალბათობა საკმაოდ დაბალია. პრაქტიკულად გამორიცულია მუდმივი საბინადრო ადგილების არსებობა. ტერიტორიაზე შეიძლება მოხვდეს მცირე ზომის ფრინველები და ქვეწარმავლები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ლოკაციის მიმდებარედ გაედინება მდინარე, რომელიც საქართველოს წითელი ნუსხის სახეობის - ნაკადულის კალმახის ჰაბიტატს წარმოადგენს.

არსებული კომუნიკაციები: კომუნიკაციების განვითარების თვალსაზრისით სხვა ალტერნატივებთან შედარებით ეს ლოკაცია გამორჩეულია, თუმცა ზოგადად ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეს საკითხი ძალზედ აქტუალურია. შესაბამისად ამ ლოკაციაზე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გადაწყვეტილების შემთხვევაში, მისი კომუნიკაციებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გადაწყვეტებს საჭიროებს. შატილში მოქმედებს მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მხოლოდ ამ დასახლებას ემსახურება. ტერიტორია მოქცეულია მობილური კავშირის და ინტერნეტის დაფარვის ზონაში. რეკომენდირებულია ელექტრომომარაგების ალტერნატიული წყაროების (მაგ. მზის პანელები) გამოყენება. წყალმომარაგების უზრუნველყოფისთვის სავარაუდოდ საჭირო იქნება მცირე ზომის შენაკადების დაკაპტაჟება.

ტურისტული ფონი: სოფ. შატილი რეგიონის და ზოგადად საქართველოს მასშტაბით ტურისტული ცნობადობის მხრივ გამორჩეული ადგილია. დაინტერესება მაღალია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვიზიტორებში. შატილი ზაფხულობით ცოცხლდება - მაშინ, როცა თოვლი დნება და გზა იხსნება. ტურისტებისათვის ფუნქციონირებს რამდენიმე საოჯახო სასტუმრო, რომელიც საკმაოდ დატვირთულია აქტიურ სეზონზე. საერთო ჯამში, შატილის

ლოკაციას სხვა ალტერნატივებთან შედარებით არსებული ტურისტული ფონის მხრივ მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია.

4.2.4.2 დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზი

ლოკაციის დადებითი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს მაღალი ცნობადობა; სხვა ალტერნატივებთან შედარებით განვითარებული სატრანსპორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურა და ასევე კომუნიკაციების არსებობა.

მეორე მხრივ ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შემზღუდავ ფაქტორებად უნდა დასახელდეს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, შეზღუდული ფართობი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და შესაბამისად ნაკლები ინტერესი მსხვილი და საშუალო ბიზნესის მხრიდან.

4.2.4.3 საპროექტო არეალის რეკომენდირებული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირება

ლოკაციაზე გარკვეული ინფრასტრუქტურა უკვე განვითარებულია. გამოყოფილია ადმინისტრაციული ზონა, სადაც ასევე მოწყობილია ვიზიტორთა ცენტრი. ამ ზონის საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 0,17 ჰა-ს (ლოკაციის საერთო ფართობის 41%). აღსანიშნავია, რომ არსებული შენობა-ნაგებობები მაქსიმალურად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

ადმინისტრაციული ზონის წინ, გზის მხარეს განვითარებულია სატრანსპორტო ზონა (საპარკინგე სივრცე). ამ ზონის ფართობი შეადგენს 0,02 ჰა-ს (ლოკაციის საერთო ფართობის 5%).


ადმინისტრაციული ზონის სამხრეთის და აღმოსავლეთის მხარეს არსებობს გარკვეული სივრცე რეკრეაციული ზონის განვითარებისთვის. ამ ზონის მიახლოებითი ფართობი შეადგენს 0,22 ჰა-ს (ლოკაციის საერთო ფართობის 54%). პერსპექტივაში რეკრეაციულ ზონაში შესაძლებელია განვითარდეს შემდეგი:

- საკემპინგე სივრცე;
- საბავშვო გასართობი სივრცე;
- საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა (მოსასვენებელი, საკვები სივრცე და ა.შ.);
- და სხვა.

ლოკაციის ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია მოცემულია ნახაზზე 4.2.3.4.1.

ნახაზი 4.2.3.4.1. ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების ზონირების კონცეფცია




512580 557347
512680 557347
4722729 613412
N
71.65.79.702
71.65.78.875
71.65.78.868
71.65.79.584
71.65.79.718
71.65.79.764
71.65.79.674
71.65.78.073
ლეგენდა
ადმინისტრაციული ზონა
რეკრეაციული ზონა
სატრანსპორტო ზონა
0 0.015 0.03 0.06
კმ
1:1000

4.2.4.4 შეთავაზებული ტურისტული მარშრუტები და სერვისები

ლოკაცია მდებარეობს შატილში და შესაბამისად მას ექნება ადვილი წვდომობა შატილთან დაკავშირებულ და პესპექტივაში დაგეგმილ ეკოტურისტულ ღირშესანიშნაობებთან და სერვისებთან. ეს ლოკაცია შეიძლება გახდეს დღეისათვის პოპულარული ტურისტული ბილიკების საკვანძო ადგილად. აქედან შესაძლებელია ბახაო-ხიდოტანი-მუცოს ბილიკზე, ასევე ფშავ-ხევსურეთის დასავლეთ ნაწილში არსებულ ბილიკებზე გადაადგილება. შესაძლებელია განვიტარდეს სალაშქრო (მათ შორის საცხენოსნო) და ექსტრემალური ტურები.

4.2.4.5 გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

შეთავაზებული ლოკაციის განვითარება არ მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროცედურის წარმოებას. ექვემდებარება საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების რეგულირების სფეროს.

კომპლექსის ცალკეული ობიექტები (მაგ. საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე ნაპირდამცავი და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და ა.შ.) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას (კოდექსის II დანართით წარმოდგენილი საქმიანობების ნუსხა). შეთავაზებულია, რომ მსგავსი ობიექტების პროექტირების პროცესში გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, რაც გულისხმობს: სამეურნეო-ფეკალური წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების ნაცვლად საასენიზაციო სეპტიკური ორმოების მოწყობას, ელექტროენერგიის დამოუკიდებელი, განახლებადი წყაროების გამოყენებას (მაგ. მზის პანელები და ა.შ.).

ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის („ბერნის კონვენცია“) მოთხოვნების შესაბამისად აუცილებელი იქნება ეკოტურისტული ლოკაციის განვითარების პროცესში ზურმუხტის ქსელის უბანზე უბანზე - „არხოტი“ (უბნის კოდი GE0000002) მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ე.წ. „ზზშ“). ზზშ-ს დოკუმენტი შესათანხმებლად წარედგინება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტს.

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად ეკოტურისტული ობიექტის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის საჭირო იქნება ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნარჩენების მართის დეპარტამენტთან შეთანხმება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით რეკომენდირებულია სხვა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების დოკუმენტაციის მომზადება, როგორიცაა გარემოსდაცვითი მართვის გეგმა (გმგ). ასევე რეკომენდირებულია უსაფრთხოების მართვის გეგმის, საევაკუაციო გეგმის, სახანძრო უსაფრთხოების გეგმის, სატრანსპორტო მართვის გეგმის მომზადება და შეთანხმება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასეთი გეგმების მომზადების და საქმიანობის დროს მათი გათვალისწინების ვალდებულება რეკომენდირებულია გაწერილი იყოს ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

5 დასკვნები და რეკომენდაციები

- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს ტურისტული თვალსაზრისით, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ვიზიტორებისათვის. აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპების, ეროვნული და სერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაცული ტერიტორიების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, რესურსებით ჭარბი სარგებლობის პრევენციის გზით.
- ამ ეტაპზე ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში და მის მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო ინფრსატრუქტურა და კომუნიკაციების ქსელი სუსტადაა განვითარებული, რაც დღესდღეობით იქ არსებული სეზონური ტურიზმის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. საჭიროა უშუალოდ ეკო-ტურიზმთან დაკავშირებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითრების პარალელურად, განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურისა და სხვა საკომუნიკაციო ქსელების მოწესრიგება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობისა თუ ტურიზმში ჩართული სხვა ოპერატორების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
- ამ ეტაპზე დაცული ტერიტორიის მიმდებარე ზონის დაფარვა არ ხდება სრულად მობილური და ინტერნეტ კომუნიკაციებით, რაც ეკო-ტურიზმის განვითრების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, შესაბამისად მნიშვნელოვანია აღნიშული საკითხის დარეგულირება.
- ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებსა და მის მიმდებარე ზონებში პრობლემატურია ნარჩენების მართვის საკითხი, რაც ამ ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ასევე ეკო-ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ ხელისშემშლელი ფაქტორია.
- რეგიონში არსებული რთული გეოლოგიური და კლიმატური პირობების გამო, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიის ტრადიციული გამოყენების ზონაში სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ვარგისი მიწები მცირეა, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარების შესაძლებლობებზე, შესაბამისად მნიშვნელოვანია მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მდგრადი ეკო-ტურიზმის განვითარების კუთხით.
- ფშავ-ხევსურეთი დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკო-ტურიზმის განვითრების მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი იქ არსებული თვითმყოფად ბუნებრივი გარემოსა და ლანდშაფტებთან ერთად ისტორიულ-კულტურული ძეგლები წარმოადგენს, შესაბამისად მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება მოხდეს შესაბამისი ობიექტების მართვასა და დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან ერთად.
- ეკოტურიზმის განვითარებისათვის მნიშველოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებს ესაზღვრება ყაზბეგისა და თუშეთის დაცული ტერიტორიები, შესაბამისად მნიშვნელოვანია ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციასთან ერთად მოხდეს მისი მომიჯნავე არეალების ცნობადობის გაზრდა და ასევე წრიული მარშრუტების დაგეგმვის შესაძლებლობების გამოყენება და მისი განხორციელება.
- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები ეკო-ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების შესაძლებლობას იძლევა, როგორიცაა

საგანმანათლებლო, სათავგადასავლო, კულტურული, აგრო და გასტრონომიული ტურიზმი და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკოტურისტული სერვისები.

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა ადამიანური რესურსებისა, მათ შორის და საჭირო აღწჭურვილობის ნაკლებობა, შესაბამისად რეკომენდირებულია ეკო-ტურიზმის განვითარების პარალელურად დაცული ტერიტორიების თანამშრომლების, მათ შორის გიდების, დამხმარე ზონაში მცხოვრები ტურიზმის სფეროში ჩართული წარმომადგენლების და სხვა ტუროპერატორების კვალიფიკაციის ამაღლება ტურისტული სერვისების განვითარების მიმართულებით.
- ეკო-ტურიზმის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისას აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინება და შესაბამისი გეგმების მომზადება, როგორიცაა ტურისტების გადაადგილების მარშრუტებზე უსაფრთხოების წესების შემუშავება, ხანძარსაწინააღმდეგო გეგმების მომზადება და ა.შ).
- ტურისტული ობიექტების მშენებლობის დაგეგმვამდე საჭიროა ტერიტორიაზე დეტალური გეოლოგიურ-ჰიდროლოგიური კვლევის ჩატარება.
- გენერალური გეგმის პროექტის იმპლემენტაციის პროცესში შესასრულებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით მოთხოვნილი გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადება.

6 გამოყენებული ლიტერატურა

- ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია საქართველო, დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში, 2017 წელი;
- ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის დაცული ლანდშაფტების დამაკავშირებელი მდგრადი ვიზიტორთა ბილიკების და მთის ქოხების განვითარების პროექტი, მუნიციპალური განვითარების ფონდი, 2021 წელი;
- მონოგრაფია „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ (დალი ნიკოლაიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. - [თბ.], 2009 წელი;
- დაპროექტების ნორმები - „სამშენებლო კლიმატოლოგია” (პნ 01.05-08). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743, 2008 წელი;
- სამშენებლო ნორმების და წესები – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09). საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წელი.

ვებ-გვერდები:

- დაცული ტერიტორიების სააგენტო - www.apa.gov.ge
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია www.gnta.ge